# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | სამშაბათი, 15 ივლისი 1919 წ. № 147 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73



ეფროსინე ვასილის ასული და ნიკო გრიგოლის ძე ღლონტი შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის საყვარელი დედისა, მეორეს სიდედრისა და უკანასკნელთა ბებიის

**მაკრინე ივანეს ასული თოფურიძისას**

გამოსვენება საკუთარი სახლიდან სამშაბათს, 15 მკათათვეს ქ. ფოთში

სოჭიდან მოასვენეს ჩვენი დაუვიწყარი ძვირფასი შვილი როტმისტრი

**გიორგი დავითის ძე ფორაქაშვილი.**

ოთხშაბათს, 16 მკათათვეს გამოასვენებენ დილის 9 საათზე ვაგზლიდან (თბილისის სადგური) ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში, სადაც წირვა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ იქვე დასაფლავებული იქნება; რასაც ღრმად დამწუხრებულნი: დედა თინათინა გეორგის ასული და მამა დავით ილარიონის ძე ფორაქაშვილები აუწყებენ ნათესავებს ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს. 2—2530—1

სოჭიდან მოასვენეს ჩვენი დაუვიწყარი ძვირფასი ძმა როტმისტრი

**გიორგი დავითის ძე ფორაქაშვილი**

ოთხშაბათს, 16 მკათათვეს გამოასვენებენ დილის 9 საათზე ვაგზლიდან (თბილისის სადგური) ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში, სადაც წირვა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ იქვე დაასაფლავებენ; რასაც ღრმად დამწუხრებულნი ძმები ზაქარია და ირაკლი დავითის ძე ფორაქაშვილები და რძალი სოფიო ივანეს ასული ფორაქაშვილისა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს. 2—2530—1

ღრმად დამწუხრებული ოჯახი

**იონა მიხეილის ძე მეუნარგიასი**

აღნუსხავს რა მწუხარებით, რომ მას არ ძალუძს ყველას სათითაოდ პასუხი გასცეს, ამით ღრმასა და გულწრფელ მადლობას სწირავს იმათ ვინც მონაწილეობა მიიღო მათ უსაზღვრო მწუხარებაში. 1—138—1

## დაიწყო ხელის მოწერა
## კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების „საქართველო“-ს
### აქციებზე ხელის მოწერა მიიღება

| | |
|---|---|
| ბათუმში ნიკ. საბაევი | ხონში მ. ბახტაძე |
| ფოთში ბ. ქვანია | ყვირილაში მ. ბასილია |
| სოხუმში ნიკ. თავდგირიძე | გორში დ. მჭავარიანი |
| სიღნაღში პეტ. დგებუაძე | თბილისში ტ. მარგველაშვილი |
| სამტრედიაში ტ. სიხარულიძე | სიღნაღში ნ. ყაზბეგი |
| ქუთაისში პ. უზნაძე | თელავში ვ. ციცქიშვილი |

ხელის მოწერას მეთვალყურეობს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი დაგზავნილ ინსტრუქციის თანახმად. კომიტეტი ვალდებულია ენერგიულად და დაჩქარებით აწარმოოს საქმეები, რომ ხელის მოწერა მალე დასრულდეს. ხელის მოწერა წარმოებს ადგილობრივი ბანკის საშუალებით. 3—6.—1

სამხედრო სამინისტროს სტამბა
## იწვევს
### სამსახურში ფაქტორის თანამდებობაზე

სტამბის ხელობის კარგად მცოდნე პირს. ასოთ-აწყობის ცოდნა სავალდებულოა; სამსახური სახელმწიფოა; თვიური ჯამაგირი 1800 მან. ჯარის-კაცის ულუფა და უფასო ორი ოთახის ბინით.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3. 7—139—1

## ქართული კლუბი

იუმორისტიული ოპერა და კომიკური კვარტეტი. სამშაბათს, 15 მკათათვეს 1919 წ. ქართველ საოპერო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

1. **ვანო წამებული**
2. **ქართული რომანსები და კომიკური კვარტეტი**

დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. შესასვლელი ფასი 3 მ. — 10 მ. 1—140—1


## „აშხატავორის“ უკანასკნელი კვირა

დაშნაკელთა მოღვაწეობის მთელის წარსულით შევეჩვიეთ მათ ყოვლად უსაბუთო და მეტად აჭირებულ პრეტენზიებს საქართველოს მიმართ. ამიტომაც ყოველი ისეთი ფაქტი დაშნაკელთა ცხოვრებაში, რომელიც ზოგი ამგვარი პრეტენზიის გაბათილებას მოწმობს, პსიხოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს. ამ ათი დღის განმავლობაში დაშნაკელების პრესსაში დაისტამბა ორი წერილი, რომელთაგან ერთი საქართველოს დამოუკიდებლობას ასაბუთებდა და აღნიშნავდა მისდამი სომხეთის კეთილ განწყობილებას, ხოლო მეორე პროტესტს აცხადებდა იმ პროვოკაციულ ხმების წინააღმდეგ, თითქოს ბათომი სომხეთისთვის მიეკუთვნებინოთ და ამ პროტესთან ერთად აცხადებდა რომ ბათომი და ბათომის მხარე საქართველოა და საქართველოს უნდა დარჩესო. ამავე დროს სომხეთის სათვისტომათა ცენტრალური საბჭოც, იმავე ხმების წინააღმდეგ ილაშქრებს, აღნიშნავს მათ მავნებლობას სომხეთ-საქართველოს შორის კეთილ განწყობილების დასამკვიდრებლად და მოუწოდებს როგორც სომხეთის მთავრობას, ისე სომხურ პრესსაც კატეგორიულად უარყოს ეს ხმები და აღნიშნონ რომ სომხობას არავითარი წილი არ უდევს მათ წარმოშობაში და გავრცელებაში. იმისდამიუხედავად რომ წარმოუდგენელია რაიმე სიბნელე შექმნილიყო, ჩვენს სასარგებლოდ ბათომის საკითხის გადასაჭრელად, ასეთი პრეტენზია სომხეთს მართლაც რომ გამოეცხადებინა, ჩვენ მაინც აღვნიშნავთ სომხების სათვისტომოთა და დაშნაკელების პრესის ერთსულოვან გამოსვლას ასეთი ხმების წინააღმდეგ.

ამგვარი სიმართლის აღიარება ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენია და მას დადებითი შედეგი თან სდევს კიდეც. ყოველ შემთხვევაში ერთი აჭირებული პრეტენზიით ნაკლებია დღეს დაშნაკელთა უსაბუთო პრეტენზიების კონა.

რომ „დაშნაკცუტიუნის“ იდეოლოგები უფრო ხშირ-ხშირად მიმართავდენ ისტორიას, საქართველოს უფლებას, მის სტრატეგიულ და ეკონომიურ საჭიროებებს და სამართალს ისე გადასჭრიდენ, მაშინ დაინახავდენ, რომ საქართველოს ტერიტორია გასულ საუკუნის არც ორმოციან და არც ოთხმოციან წლებში არ ჩამოჭრილა და მაშინ სხვა უსაბუთო პრეტენზიებზედაც ხელს აიღებდნენ, და საქართველო-სომხეთ შორის კეთილგანწყობილების განმტკიცების ხელის შემშლელი ფაქტორებიც ჩამოეცლებოდა. მაგრამ დაშნაკელები ამაზედ ჯერ ძალიან შორს არიან და სხვის მიწა-წყლის მითვისება-წართმევაზედ ლამობენ სომხეთის ტერიტორიის გაფართოვებას. საქართველო კი თავის დღეში ამას ვერ დათმობს და ვერ შეურიგდება; აქ არის უთანხმოების და შუღლ-შეხლის მთავარი ღერძი. წამართმევის როლში სომხობაა გამსჭვალული და უთანხმოების ლიკვიდაციაც მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სომხობა ამ ტაციობაზედ ხელს აიღებს.

თუ საქართველოს მოქალაქე დაშნაკელების ცენტრალური ორგანოს უკანასკნელი დროის ყოფა-ქცევა და მოგონიერება ახლი ხანის აღსანიშნავია და მას გამწე ხასიათი მიეცა, მეტად თვალსაჩინო შედეგებს მივაღწევთ ორი მეზობელ ხალხის დასაახლოვებლად.

მაგრამ ჯერ მარტო უიმედო და სასკეპტიკო მასალა მოუცია დაშნაკელთა წარსულ პოლიტიკას და მოღვაწეობას და ამდენივე საბუთი და მასალა დაგვჭირდება ამიერიდან რომ მისი ვიწამოთ და დავიჯეროთ. დაშნაკელების ამ გზაზედ დაყენებას ხელს შეუწყობს ის, თუ რამდენათ და მტკიცე გადაჭრილი და ურყევი პოლიტიკა გვექნება ჩვენ თვითონ ჩვენი ტერიტორიის მთლიანობის დასაცავად.

## მენშევიკები და რუსული საბჭო

ამ ბოლო დროს მენშევიკებს ერთი ცუდი ზნე დასჩემდათ რეალური პოლიტიკას, რომელზედაც წინად ამდენს გაჰკიოდენ, თანდათან სრულებით გაუშვეს ხელი. ჩვენ თავის დროზე მივაქციეთ ყურადღება, თუ როგორ უქებდენ „ერთობა“ და „ბორბა“ სომხების ეროვნულ საბჭოს რეკლამას და მის მაგიერ, რომ ხალხი გაეფრთხილებიათ და მოსალოდნელი საფრთხე დაენახვებინათ, რაღაც გაუგებარ გულუბრყვილობით სომხების ეროვნული საბჭო დემოკრატიულად გამოაცხადეს და მოსალოდნელ სოლიდარულ მუშაობაზე დაიწყეს ოცნება.

20 ივლისს არის დანიშნული სომხეთის საბჭოს არჩევნები, ეს დღე არც ისე შორს არის და ვნახოთ დაშნაკელები, როგორ ოინებს უზამენ მენშევიკებს და როგორ დაუკარგავენ უკანასკნელ ილიუზიებს დემოკრატიულ თანამშრომლობაზე.

მაგრამ შეიძლება ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ვერც მაშინ გამოფხიზლდენ, ამის საბუთს იძლევა მათი დამოკიდებულება რუსების ეროვნულ საბჭოსთან ამიერ-კავკასიაში.

„ერთობ“-ის მწერლებს ხელში ჩავარდნიათ რუსების ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ბ. კალიუჟნის წერილი ამავე საბჭოს ყოფილ თავმჯდომარე ლებედევ-სიბირსკისთან.

ამ წერილში ისეთი არაფერია, რომ კაცს თავზარი დასცემოდა.

კალიუჟნი სწერს ლებედევს, რომ რუსები საქართველოში ვერ იქნებიან დენიკინ-კოლჩაკის მომხრე, რადგან ეს გამოიწვევს ქართველ ხალხის აღელვებას და „რუსული საქმე“ ამიერ-კავკასიაში იარაღით ვერ გაკეთდებაო.

ყველაფრიდან სჩანს, რომ კალიუჟნი ცხოვრების დაკვირვებას მიუყვანია ამ დასკვნამდე.

კალიუჟნი იგონებს ალბათ რევოლიუციის იმ პერიოდს, როცა „რუსული საქმე“ ამიერ-კავკასიაში მენშევიკების ხელით კეთდებოდა და კიდევ ისვრის ამ პროვოკაციის ანკესს.

მენშევიკების ლოქომ არ დაიგვიანეს ამ ანკესზე ჩამოკიდება. „ერთობა“-მ ჩვეული ანალიზით აღმოაჩინა, რომ რუსები ამიერ-კავკასიაში ორ ბანაკათ არიან გაყოფილი პირველ ბანაკს შეადგენენ სამსახურიდან დათხოვილი რუსის მოხელეები და ინტელიგენცია, რომელსაც მეთაურობენ კადეტები და ესერები—მეორე ბანაკს შეადგენენ გლეხები და მუშები— ამ ბანაკის ლიდერი „ერთობა“-ს კიდევ კალიუჟნი მოჰყავს, თითქო კალიუჟნი იგივე ესერი არ იყოს და ან სხვა რომელიმე ესერს ჩამოშორდებოდეს რუსულ ნაციონალიზმში.

პირველი ბანაკი ებრძვის საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას. ეს ბრძოლა გამოწვეულია იმით, რომ მათ დაჰკარგეს ძველი ადგილები და ეხლა შურს იძიებენ „ნაციონალიზაციის“ გამო—მეორე ბანაკი სოციალისტურია—მუშები არავის დაუთხოვია სამსახურიდანო და რუსის გლეხები ძველებურათ ხნავენ თავიანთ მიწებსო ამბობს „ერთობა“, და ამიტომ ჩვენ არ გვებრძვიანო. ამ ანალიზს „ერთობა მიჰყავს იქამდი, რომ დარწმუნებულია ახალი რუსული ეროვნული საბჭო სრულიათ ლოიალური იქნება საქართველოსთან!

მაგრამ მენშევიკების მწერლები ივიწყებენ, რომ ესერებზე უფრო სოციალისტური იყვენ რუსის მენშევიკების „სოციალ-დემოკრატის“ ჯგუფი, მაგრამ ჩვენ ვიცით, როგორ საქმეებს აწყობდენ და აწყობენ ეხლაც ეს ვაჟბატონები საქართველოს წინააღმდეგ. აქ გასაკვირი, თუ რამეა, მხოლოდ ის რომ „ერთობა“ ივიწყებს ამ ბრძოლის ეპოპეიას, რომლის მთავარი მონაწილე თვითონ იყო.

მაგრამ რა საჭიროა ლაპარაკი მენშევიკებზე, როდესაც რუსის კომუნისტებიც ამიერ-კავკასიაში ვერ დაცილებიან მებრძოლ ნაციონალიზმს. ერთხელ ჩვენ მოვყავდა რუსების დასახასიათებლად ამიერ-კავკასიაში ლენინის სიტყვები:

„გადაფხიკეთ კომუნისტი და თქვენ აღმოაჩენთ ველიკორუსს ნაციონალისტსო“—ამიერ-კავკასიაში არც კომუნისტს და მით უმეტეს რუსის მოხელეებს და ესერ-მენშევიკებს გადაფხეკაც არ სჭირიათ ისე აჩენენ თავიანთ თვითმპყრობელ სახეს.

მხოლოდ ქართველ მენშევიკებს შეუძლიათ გულუბრყვილოთ დაიჯერონ კალიუჟნისთანა ეპისტოლეების გულწრფელობა, და ამისთანა შემთხვევით და კერძო საბუთებზე ავგონ თავიანთი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა!..

ეს გულუბრყვილობა უკვე ბოროტმოქმედებაში გადადის, ყოველ ასეთ ამბავისდამიმართ მოქმედებას მენშევიკებისას საქართველო აუარებელ სისხლით რწყავს და მენშევიკები არ ზოგავენ ჯერ ქართულ სისხლს და კიდევ თამაშობენ საქვეყნო „ინტერნაციონალ“-ზე, მაგრამ სახამდი ითმენს ამ სისხლით თამაშს ქართველი ხალხი?..

## პ რ ე ს ს ა

**ბორბა და „ნაციონალიზაცია“.**

გაზეთ „ერთობის“ შერცხვენილ გალაშქრებას „ნაციონალიზაციის“ წინააღმდეგ, არც რუს ემიგრანტების გაზეთი „ბორბა“ ჩამორჩა.

გასაკვირია, რად არ დაასწრო ამ გაზეთმა „ერთობას“ ახალი ჭეშმარიტების აღიარებაში?

ვინც იცის, თუ ვინ ხელმძღვანელობს დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საგარეო საქმეთა სამინისტროს რიგით ოფიციოზს, არ გაუკვირდება, რომ ამ გაზეთმა არ დააყოვნა თავისი გამოძახილი „ერთობის“ უცნაურ განცხადებაზედ, რომლის უარყოფა მეორე დღეს თვითვე მოუხდა.

მაგრამ გაზეთ „ბორბას“ ხელმძღვანელთ ახასიათებთ ერთი გარემოება:

ეს გაზეთი არას დროს არ იდევს თავის ინიციატივა, საქართველოსათვის ანტი-სახელმწიფოებრივ საკითხების აღძრაში;

და ეს ადვილი ასახსნელიც არის: გაზეთ „ბორბას“ ხელმძღვანელობენ ეხლა რუსი-ებრაელი ვოიტინსკი და ბრძენი აიოლლო.

ეს ხალხი ბუნებით ფრთხილ რასას ეკუთვნის და არას დროს თავის თავზედ არ აიღებს „რისკს“, რომ ინიციატორნი იყვნენ ისეთ საკითხებში, რომელთაც რაიმე მითქმა-მოთქმა შეუძლიანთ, რომ გამოიწვიონ.

სამაგიეროთ, თუ უფრო პასუხის მგებელმა ორგანომ, ან პირმა, მოკიდა ხელი იმ საქმეს, რომელიც მუდამ აღიზიანებს მათ გულს, ეს ხალხი დაუყონებლივ კვალში გასდევს მათ.

ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც:

გაზეთი „ერთობა“ გაილაშქრა „ნაციონალიზაციის“ წინააღმდეგ საქართველოში და ვინ გააჩერებდა ამის შემდეგ ბ-ნ ვოიტინსკის.

აი რას სწერს მისი გაზეთი დღეს:

„მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთი „ერთობა“ გამოვიდა წინააღმდეგ ქუჩებზედ, ტრამვაიზედ და რკინის გზაზედ, რომ ორ ენაზედ იყოს წარწერები. რუსულად და ქართულად.

რა შეიძლება ამის წინააღმდეგ, რომ ითქვას?

არაფერი“.

არამც თუ არაფერი არ ეთქმის ამის საწინააღმდეგოთ ბ-ნ ვოიტინსკის იგი სიხარულით უცქერის, როდესაც გაზეთი „ერთობა“ აკეთებს იმ საქმეს, რომლისთვისაც მოწადინებულია თვით ბ-ნი ვოიტინსკი.

სათქმელი აქვს მხოლოდ საქართველოს, როდესაც ყოველ გამვლელს მისი მზრუნველობის საჭენი უკავია ხელში!

***

## ამიერ-კავკასიის კონფერენცია

ამ სათაურით „ნორ აშხატავორ“-ის 138 ნომერში შემდეგი მეთაურია დაბეჭდილი, რომლიდანაც მოგვყავს ადგილები:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, როგორც გვატყობინებენ უკანასკნელი ცნობებით, გადაუწყვეტიათ განაახლონ კონფერენციის შეწყვეტილი სხდომები. ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით კონფერენციის მოწვევისა იმ მიზნით, რომ ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკა დაახლოვებოდნენ ერთმანეთს და იპოვნიდნენ საერთო ენას და საერთო თვალსაზრისს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკა არის ბეგების და თავადების ელემენტების ხელში, რომელნიც არასდროს არა ცდილან სოლიდარობა და თანამშრომლობა განამტკიცონ.“

შემდეგ გაზეთი მოიგონებს ფაქტებს ამის დასამტკიცებლად: „საქართველოს მენშევიკებმა და აზერბაიჯანის ბეგებმა არ დააკმაყოფილეს სომეხ მშრომელ ხალხის სამართლიანი მოთხოვნილება საზღვრების შესახებ და ტრანზიტის საკითხი, რაშიც ორი რესპუბლიკის შოვინისტი ხელმძღვანელები აწარმოებდენ დამღუპველ პოლიტიკას და სხ. დაუხედავად ამისა ყოველნაირი ვგდა თანხმობის ჩასაგდებად სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს:

ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკა ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი თავიანთ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებით, რომ მათ ურთიერთ თანხმობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამიერ-კავკასიის ნაწილებს გეოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობა, რუსულ ცარიზმის პოლიტიკა, დამყარებული divide et impera პრინციპზე. და ბოლოს საუკუნოებრივი ისტორიული წარსული გაუერთიანებია და მჭიდროდ შეუკრავს ამიერ-კავკასიის ხალხი ერთმანეთთან, მაგრამ ამასთან ერთად შექმნილა ისეთი რთული კვანძი, რომლიდანაც გამოსვლა მეტად ძნელია“.

რუსეთის პოლიტიკამ შექმნა ჩვენში „Divide et impera“. და თუ დღეს ვერ მოხდა ჩვენი თანხმობა მაშინ ყოველი გარეშე ძალა აწარმოებს კვლავ ასეთ პოლიტიკას ჩვენში.

წარსულის ცდა, გაბატონებულ ბეგურ-თავადურ კლასსის ინტერესები გვეუბნებიან, რომ ამიერ-კავკასიის კონფერენციის გაგრძელებით ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს არ უნდა ჰქონდეს დიდი იმედები მაგრამ, არ შეიძლება არ მივესალმოთ თანხმობის ჩამოსაგდებ ცდას. შეიძლება ამ ცდამ დღეს არ მოგვცეს არაფერი მაგრამ იგი მომავალში დაახლოვების გზას მაინც განამტკიცებს“.

შეუძლებელია თავისთავის პატივისმცემელი პრესა ასე უპატიოსნოდ ეკიდებოდეს ფაქტებს. და ასე ამახინჯებდეს წარსულს.

დაშნაკელი „ზინვორები“ არ იყვნენ განა საბედისწეროდ გენერალი ჰდრო, რომ მიესიეს საქართველოს, იმ დროს როცა საქართველო სომხეთიდან კონფერენციის დელეგატებს ელოდა?..

მას შემდეგ სულ რამდენიმე თვე გავიდა. მაგრამ დაშნაკელებს ჰგონიათ, რომ მათ სამარცხვინო საქმეებს, მარტო არარატის კიდობანი ინახავდეს და ისტორია მას ვერ შეეხება.

მაშინ არ იყვნენ არარატის მტრედები მშვიდობიანობის ხასიათზე და ზეთის ხილის მაგიერ ქვებს აგორებდნენ სანაინზე და ტყვიისმფრქვეველებს ინახავდნენ სოფლებში?!.

მაშინ რას უნდა მიეწეროს დაშნაკელების მშვიდობიანობა?..

დაშნაკელები ძალიან დაუშინებია „თავადურ“ საქართველოს და „ბეგების“ აზერბაიჯანის კავშირს.

„შიში შექმნის სიყვარულსო—ძველი თქმაა, მაგრამ დაშნაკელების ღვარძლიან გულში ვერც შიში შეიყვანს სიყვარულს..

## სომხების პროტესტი

სომხების სათვისტომოთა ცენტრალურ საბჭოს გადაუწყვეტია გამართოს მიტინგი, რომელზედაც გამოტანილი იქნება პროტესტი იმ პროვოკაციის წინააღმდეგ რომელსაც ეწევიან უპასუხისმგებლო ელემენტები თითქო მოკავშირეებს გადაეწყვიტოს ბათომი სომხებს გადასცეს, სომხები მოითხოვენ უარყოფილ იქნას ეს ხმები, როგორც შურის დამთესი. ამ ხმებს არავითარი ნიადაგი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, ეს მხოლოდ ორ ხალხთან ერთმანეთზე გადასაკიდებლათ არის მოგონილი.

## ბ ა თ უ მ შ ი.

ბათუმში ბოლო დროს მოხალისეთა გავლენა მეტად შესუსტდა. ღამაშიძის ჩავლის შემდეგ ბათუმში ინგლისელებისა და ქართველთა ურთი ერთობა შეიცვალა. ქოროხზე რუსეთის დროშის მოხსნამ და მოხალისეთა ჯარის ნოვოროსისკში წარგზავნამ ქართველთა სულიერი განწყობილება მეტად აწია. ამას ზედ დაერთო საქართველოს ვალიუტის აწევაც. კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული ვაჭრები ამიერ-კავკასიის ბონებზე დიდის სიამოვნებით ჰყიდიან საქონელს. ბათუმის ქართველობა მოუთმენლად მოელის დასკვნას ამ მოვლენათა განვითარებისას. ამის გარეშეთ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებში ხმებიცაა გავრცელებული ვითომც ახლო მომავალში ბათუმში უნდა საქართველოს ადმინისტრაციულად დაუქვემდებარდეს.

ბათუმიდან ჩამოსულ პირთა ცნობით ამ ქამად იქ სდგას იტალიის გემი 22.000 იტალიელ ჯარისკაცით. ჯარი გემიდან ჯერ არ გადმოუსხამ.

# უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკებმა ხარკოვი აიღეს.

საფრანგეთისა და იტალიის სოციალისტთა კონფერენციამ საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდება მოითხოვა.

მოკავშირეებმა ავსტრიას კიდევ ახალი მუხლები წარუდგინეს იტალიის და სამხრეთ სლავიის ზარალის ასანაზღაურებლად.

ბოლშევიკები კამენეც პოდოლსკს უახლოვდებიან.

სამხრეთ ასპარეზზე დენიკინის წინააღმდეგ ბოლშევიკები საერთო შეტევაზე გადავიდნენ და წინ მიიწევენ.

## იტალიურ-კავკასიური ბანკის დაარსება.

იტალიის ადგილობრივ მისიის ცნობით რომში დაარსებულა იტალიურ-კავკასიური ბანკი ეკონომიური ინდუსტრიულ და კომერციულ ურთი-ერთობის გასაძლიერებლად.

## ხარკოვის აღება ბოლშევიკების მიერ.

მოხალისეთა შტაბის საინფორმაციო ბიურო „ოსვაგი“ იტყობინება:

„მკათათვის 8-ს სტრატეგიული მოსაზრებით ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ხარკოვი. ჯარები დავწიეთ წინდაწინვე სადგ. „მერეფასაინ“ მომზადებულ პოზიციებზე. წითლებმა თავი მოიყარეს კოლჩაკის ფრონტზე განთავისუფლებულ ჯარს და გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს მთელ სამხრეთის ფრონტზე.

## აზერბაიჯანის დიპ. წარმომადგენელი გენ. კორთან.

შაბათ, 12 მკათათვეს, აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის მოადგილემ ინახულა კავკასიაში მყოფ მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდალი გენერალი კორი, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი. საუბრის შემდეგ ჩააბარა მას შემდეგი ხასიათის ნოტა:

„თქვენო აღმატებულებავ, ჩემი მთავრობა სისტემატიურად იღებს ცნობებს, რომ ერევნის გუბერნიაში სომხები ავიწროებენ და სდევნიან მაჰმადიან მუსულმანებს. სომეხთა რეგულიარული ჯარები იგზავნებიან მაჰმადიანთ სოფლების ასაწიოკებლად; არ იბრალებენ არც ბავშვებს და არც ქალებს. ასობით და ათასობით აწიოკებული სოფლები გარბიან აზერბაიჯანისაკენ. ერევნის გუბერნიის მაჰმადიანები, მათი სურვილის წინააღმდეგ, მოკავშირეთა თანხმობით, იმყოფებიან სომხეთის მთავრობის ხელ-ქვეით; ამ აქტის გამოცხადების დროს ინგლისის სარდლობამ დიდძალი საპროტესტო დეპეშები მიიღო ადგილობრივ მაჰმადიანთაგან. ამ პროტესტებში გარკვევით იყო აღნიშნული, რომ მაჰადიანებს არ შეუძლიანთ იცხოვრონ სომხებთან.

მე სრულიად არა მაქვს აზრად ჩავერიო ადმინისტრაციის საქმეებში, რომელსაც დროებით შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელნი განაგებენ. ხოლო უფლებას ვიტოვებ ჩემი მთავრობის სახელით განვაცხადო ენერგიული პროტესტი სომხეთის მთავრობის მიერ მშვიდობიან მცხოვრებთა აწიოკების გამო. სომხეთის მთავრობის ასეთი საქციელი ძლიერ ცუდ შედეგებს გამოიღებს.

მოგახსენებთ რა ყოველივე ამას გთხოვთ, გავლენა იქონიოთ სომხეთის მთავრობაზე, რათა მათ შესწყვიტონ მუსულმანების დევნა აწიოკება.

# ქრონიკა

→ **იურიდიული კურსების დაარსებისათვის.** კვირას 5 ივლისს შესდგა იურიდითლ საზოგადოების საბჭოს სხდომა რომელზედაც მოწვეულ იქმნენ სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე მ. მ. მღვდლიაშვილი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე პ. ვ. კიზირია და სხვა სასამართლოს დამსახურებელი წევრნი.

სხდომამ განიხილა პრაქტიკულ იურიდიულ კურსების დაარსების შესახებ საკითხი და გადასწყვიტა დაარსდეს ზემოხსენებული კურსები მსმენელთა უფლებების მინიჭებით.

ამასთანავე პროექტ-პროგრამის შედგენა საზ. გადოების საბჭომ მიანდო საბჭოს მდივანს გ. შალიბაშვილს.

→ **ბორჯომის ხე-ტყე თბილისში.** „ნოვი დენი“ სწერს: ბორჯომის სახერხი ქარხნის ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად მიწად-მოქმედების სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა ბორჯომის მამულებში დამზადებული ხე-ტყე მიზიდულ იქმნას მხოლოდ ბორჯომის სახერხ ქარხანაში, თბილისში ბოლო ხანებში ხე-ტყე აღარ მოდის, რის გამოც ყველა სახერხი ქარხნები დაიკეტა. უსაქმოდ დარჩენილ ქარხნის მუშებმა და მეპატრონეებმა სთხოვეს მიწად-მოქმედების მინისტრს რომ განკარგულება შესცვალოს, მთელი წლის ხვეწნის შემდეგ ბოლოს გამოჩნდა ბორჯომიდან ტივები. ხე-ტყის ფასი მეტად დაცემულია.

→ **მოხელეთა არტელი** ამ ორი თვის წინ საქართ. საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლობის თაოსნობით საქართ. პასუხისმგებელ მოხელეთა არტელი დაარსდა, რომლის მიზანია უწყებებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებს გამოცდილი და სანდო მოხელენი მიაწოდოს დღემდე ხსენებულმა ორგანიზაციამ 100 წევრი მიიღო აქედან რკინის გზას მისცა 33 კაცი. არტელს მოლაპარაკება აქვს კახეთის რკინის გზის სამმართველოსთან და სხ. და სხ. დაწესებულებებთან.

→ **რა ხდება დაღესტანში.** პეტროვსკიდან ჩამოსულები იტყობინებიან რომ მოხალისეთა ჯარმა მობილიზაცია 45 წ., გამოაცხადა ვინც არ გამოცხადდება იგი მიეცემა სამხედრო სასამართლოში მობილიზაციის ძალით გაწვეულია საშუალო სასწავლებლების მოწაფენიც.

### სხ. და სხ. ამბები

→ **ხარაჯიშვილის მკვლელებისათვის.** ამ დღეებში საპყრობილეთა ინსპექტორი ბატ. ყიფიანი ხარაჯიშვილის მკვლელების საქმისათვის სიღნაღს გაემგზავრა.

→ **საქონლის გამოტყუება.** 8 მკათათვეს, ტყავეულობის მოვაჭრე ალიბაბა-ოღლს, ჰუსეინ-ოღლს გასანაოღლმა გამოსტაცა 3,600 ტყავეულობა. მილიციამ დააპატიმრა დამნაშავე და ციხეში მოათავსა.

→ **ქურდობა.** 19 ივლისს დილის 10 საათზე კრილოვის ქუჩაზე მცხოვრებ დავით ბერკოვიჩის ბინიდან 25,000 მან. თეთრეული მოიპარეს.

→ **დაპატიმრება.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა შოფერი ერნესტ კრონტაილი რომლის ავტომობილით წაიყვანეს მოტაცებული მილიონერი არამიანცი.

→ **იარაღის აღმოჩენა.** 8 მკათათვეს, სისხლის სამართლის მილიციამ გეგელეს იარაღის მაღაზიაში დიდძალი სასროლი იარაღი და პატრონები აღმოაჩინეს. გეგელე პასუხისგებაში მისცეს.

### სამხატვრო ქრონიკა

→ **ია კარგარეთელის მოხსენება** ამ მოკლე ხანში ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ცათერთ კრებაზე მუსიკოსი ია კარგარეთელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგი შინაარსით: 1) ბერძნული და ქართული ერთხმოვანი ხალხური სიმღერების ურთიერთობა; 2) ბერძნული შესამღერი „ჰეი-ლინოს“ და ქართული „ჰა-ლი-ალალო“. 3) თქმულება „ჰეი-ლინოს“-ზედ ბერძნებისა, ეგვიპტელებისა, ფინიკიელებისა და ასსირიელებისა; 4) მოსაზრებანი ბერძნულ „ჰეი-ლინოს“ და ქართულ „ჰა-(ვა)-ლი-ალალოს თქმულებათა იგივეობაზედ; 5) გეროდოტისა და დიოდორის აზრი ბერძნულსა და ეგვიპტურ „ჰეი-ლინოს“ თქმულებებზე; 6) საბერძნეთსა და ეგვიპტეში ზარით სიმღერა.

### კრებები

→ **ფრონტის დღე:** დღეს საღამოს 6-საათზე, რუსთველის ქუჩაზე არაქელოვის სახლი № 24 დანიშნულია ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომიტეტისა და ორგანიზაციებისა და რაიონების წარმომადგენელთა საერთო კრება. ყველას, ვისაც სურვილი აქვს და თავის მოვალეობათ მიაჩნიათ ამ დღეების მოწყობას მოახმაროს თავისუფალი დრო და შეძლების და გვარად იმუშაოს მხურვალე თხოვნით მივმართავთ ყველანი გამოცხადდნენ საქმე ბევრია, მეტი ყურადღებაა საჭირო ფრონტისადმი, იმათთვის ვინც აქ, მშვიდათ ცხოვრობს.

→ **აქციონერ საზ-ბის წევრთა საზოგადო კრება.** დღეს საღამოს 7 ნახ. საათზე კავკასიის მუზეუმის დარბაზში (ლორის-მელიქის ქუჩა 10) შესდგება არქეოლოგიურ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება; მოხსენებები: 1) გ. ჩუბინაშვილისა „ცეცხლის ტაძარი სურახანში“, 2) ლ. მელიქსეთ-ბეგისა „არაბულ მწერლის აბუქურას (მე VIII-IX ს.) ნაწარმოებთა ქართული ვერსიის შესახებ“, და 3) ლ. ლოპატინსკისა „მსტისლავ ტმუტარაკნელი რედედია ჩერქესულ თქმულების თანახმად.

### პარტიული ცხოვრება.

→ **მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმი.** მესამე კონფერენციის მიერ ახლად არჩეულ მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმში შედიან: თავმჯდომარე ს. ჯუღელი (?) — კედია, თავმჯდომარის ამხანაგები: გ. გვაზავა და ა. ასათიანი, პასუხისმგებელი მდივანი რ. ინგილო, ხაზინადარი პ. გოთუა.

→ **ახალგაზრდათა საყურადღებოდ.** ამ დღეებში მოხდება ახალგაზრდათა მთავარ კომიტეტის სასარგებლოდ დანიშნულ წიგნთა ლატარიის გათამაშება, ამისთვის ვთხოვთ ყველას ვისაც ლატარიის ბილეთები აქვს წაღებული მკათათვის 19-დე (შაბათამდე) ყოველგვარი ანგარიშები გაასწოროს ახალგაზრდ. მთავარ კომიტეტის რწმუნებულ გ. მერკვილაძესთან, რომლის ნახვაც შეიძლება ყოველ დღე „საქართველოს“ რედაქციაში დილის 9-და 2-ამდე.

→ **პარტიის წევრთა საყურადღებოდ.** პარტიის წევრთ, რომელნიც მიემგზავრებიან ბორჩალოში, მესხეთ ჯავახეთში, სვანეთში, აფხაზეთში, მთაში და ფშავ-ხევსურეთში ვსთხოვთ წასვლის წინ შემოიარონ მთავარ კომიტეტში (დამფუძნ. კრების ქ. № 5) საჭირო საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

# სომხეთი

(სომეხ. დეპეშ. სააგენტო)

**ყარაბაღის საკითხი:**

ყარაბაღის საკითხში მთავრობას აზრი არ შეუცვლია.

**სამინისტროების გაერთიანება.**

სასურსათო, მზრუნველობის და შრომის სამინისტროები გაერთიანდნენ და ეხლა ერთ მმართველ ორგანოში მოექცნენ.

**ნიხრი სომხეთში.**

პური ფუთი ღირს 400 მ., ქერი 250 მ., უბრალო ფქვილი 400 მ., საუკეთესო ფქვილი 450 მ., ბრინჯი 575 მ., ქიშმიში ყუთებით 480 მ., ქიშმიში ტომრებით 325 მ., ნავთი 100 მ., ლობიო 350 მ., ხორცი 400 მ., ცხვრის ხორცი 560 მ., შავი პური (გამომცხვარი) 240 მ., თეთრი პური (გამომცხვარი) 320 მ., მარილი ფუთი 45 მ. შაქარი 2300 მ., სიმინდი 300 მ.

**ერევნის ფულის ბირჟა**

ოსმალური ლირა ღირს 400 მ., 10 მან. (ოქროსი) 500 მან., ნიკოლოზის 100 მანეთიანი 325 მ., 1000 მანეთიანი კერენსკის 1500 მ., ვერცხლის მანეთიანი 36 მ.

**ბოიუკ-ვედის ამბები.**

როგორც ამას წინად აზერბაიჯანიდან იტყობინებოდნენ სომხეთის მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს სომხეთში მოსახლე მაჰმადიანების წინააღმდეგ. ეს ცნობა ჩვენ წინა ნომერში აზერბაიჯანიდან მივიღეთ ეხლა კი თვით სომხური გაზეთებიდანაც მოსჩანს თუ როგორი სიმკაცრით მოპყრობას მოითხოვენ სომეხი დაშნაკცაკანები მაჰმადიანებისადმი. გაზ. „ჰაიასტან აშხატავორი“ სწერს: „ბეგების აზერბაიჯანმა და ოსმალეთმა წამოაყენეს ხელახლად თავი კონტრ-რევოლიუციონერებს სომხის დემოკრატიის წინააღმდეგ. ბოიუკ-ვედის პოლიტიკური ამბოხება, რომელსაც არაფერი არ ამართლებს, საშინელი სიმკაცრით უნდა მოვსპოთ. არ უნდა გვებრალებოდეს შავი ყორნები, რომლებიც თავს დასჩხავიან თავისუფალ ახალგაზრდა დემოკრატიას.

**დროებითი კანონი დეზერტირობის წინააღმდეგ.**

დროებითი კანონი დეზერტირობის წინააღმდეგ დაახლოვებით შემდეგში მდგომარეობს: 1) ვისაც არ აქვს სამხედრო სამსახურის ან ...მისგან განთავისუფლების მოწმობის ქაღალდი, არ მიიღება სამსახურში. 2) კანონის დამრღვევ დამნაშავეს დააპატიმრებენ 1 თვითან ექვს თვემდე და ან გადახდება ჯარიმა ათას მანეთიდან 10 ათას მანეთამდე. 3) ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები თუ არ გამოცხადდებიან, დაპატიმრებულ იქნებიან ერთი თვიდან სამი თვემდე და სამსახურის ვადა მოემატებათ 6 თვით; ის დეზერტირები, რომლებიც გამოცხადდებიან მარიამობისთვის 1-დე, სასჯელისაგან განთავისუფლდებიან და სრული სამსახურის შემდეგ გაგრძელებული ვადა შეუმოკლდება. 4) სასოფლო კომისრები ® მილიციის მოხელენი მოვალენი არიან დააპატიმრონ დეზერტირები და შეატყობინონ ადგილობრივ ადმინისტრაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიეცემიან ადმინისტრატიულ სასჯელს 3 ათას მანეთს ჯარიმად. 5) ყველა კატეგორიის დეზერტირების დამფარველნი თანამდებობ დან გადაყენებულ იქნებიან, ან არ მიიღებიან სამსახურში, 8 თვიდან 16 თვემდე დაპატიმრებულ იქნებიან და დაჯარიმებულ იქნებიან 10 ათას მანეთამდე. 6) კერძო პირები, რომლებიც დამალავენ დეზერტირების მოტ ნილ სახელმწიფოს ქონებას, ტანსაცმელს და სამხედრო მასალას, გადაიხდიან მათ ღირებულების სამჯერ მეტ ფასს.

**ჯარში გასაწვევ ახალგაზრდების აღწერის კანონი.**

ყველა მამაკაცს 16 წლიდან 43 წლამდე უნდა ჰქონდეს პიროვნების მოწმობა, რომელშიც უნდა მოხსენებული იყოს მისი დამოკიდებულობა სამხედრო სამსახურისადმი. სამსახურის ვადა 18 წლამდე არის, 3 ნამდვილი, 15 სათადარიგო.

ამ ჟამათ სამსახურში მყოფი 20 წლოვანი ახალ-გაზრდები განთავისუფლდებიან 1923 წლის 1-ლს გიორგობისთვეს, 21 წლოვანები — 1922 წელს. 22 წლოვანები—1921 წელს, 24 წლოვანები —1820 წელს მარტის 1-ლს, 25 წლოვანებიანი 1919 წლ. გიორგობისთვის 1-ლს.

პრივილეგიები მხოლოდ ერთი რიგისა არის და მხოლოდ უნარ მოკლებულ მშობელთა შვილს ეხება.

სათადარიგო ყველა კატეგორიის ოფიცრები გაიწვევიან სამსახურში სამხედრო ძალა-უფლების თვალყურის ქვეშ. განთავისუფლდებიან მოსამართლეები, სამოსამართლო ბრალმდებლები, სასამართლოების მოსამსახურენი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურენი, სამაზრო და საოლქო კომისრები და მილიციის უფროსები და მათი თანაშემწეები.

# ბრძოლის მეთოდები

ჩვენ ვათავსებთ დეპეშას, იმ თვითნებობის შესახებ, რომელიც ჩადენია,

# აფხაზეთში.

(დასასრული)

**12. ადგილობრივ რუსთა მისწრაფება.**

აფხაზეთში თავად-აზნაურობის საწინააღდეგო მიმართულებით ისარგებლა ადგილობრივ რუსობამ: „აზნაურები გლალატობენ თქვენ მამა-პაპეულ მიწას ქართველებს ურიგებენო“; თვით შეძლებული აფხაზი გლეხები სულ იმის ოცნებაში არიან, რომ ქართველები და საზოგადოდ ყველა მოიჯარადრეები განდევნონ აფხაზეთიდან და მათი ადგილები თვითონ გაინაწილონ, თვითონ შეიქმნენ მემამულენი

**13. უმიზეზო ეჭვები**

ის გარემოება, რომ აფხაზეთში არც ერთი სავაჭრო და სამრეწველო საქმე აფხაზის ხელში არ არის, დიდად სწყენს ნამდვილ აფხაზს: მას ჰგონია, რომ ამაში მათ ქართველები უშლიან ხელს. სწორედ ისეთივე გრძნობაა აფხაზებსა და მეგრელებს შორის, როგორც ქართლ-კახელთა და სომხებს შორის და ამ ბოლო დროს აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შორის. სიმართლე რომ ვსთქვათ აფხაზს ქართველის საწინააღმდეგო არაფერი არ აქვს: ქართველი მას წარმოდგენილი ჰყავს ქართველ კახელის ტიპის: დარბაისელი, დინჯი, გულალალი, ხელგაშლილი, ზრდილობიანი; ასეთი ქართველი მას უყვარს.

**14. ჩვენი კუთხეები და ხასიათები**

თუ რომელიმე კუთხეში, მაგალითად ქართლ-კახეთში, ან აფხაზეთში ბუნების განსაკუთრებული ზეგავლენით მცხოვრებთა ხასიათი, გემოვნება, შეხედულება სხვანაირია, ვინემ იმერეთში საზოგადოთ და კერძოთ გურია-სამეგრელოში, ამ მოვლენას ჩვენ დიდის დაკვირვებით და შესაფერი განწყობილებით უნდა მივეგებოთ: თავაზიანად, კეთილი დამოკიდებულებით უნდა ვიმოქმედოთ, რომ განსხვავება, ხასიათთა უთანხმოება შევათანხმოთ, შევაჩვიოთ ერთი მეორესთან და არა ძალდატანებით გადავლახოთ მათი განსაკუთრებული განწყობილება, ან ვინმე მართველი მათი სურვილის წინააღმდეგ, ძალაუნებურად დაუყენოთ და ისე მოვიქცეთ როგორც მათ არ ესიამოვნებათ: ისეთი კაცების საშუალებით ვიმოქმედოთ, რომელიც მათ ეჯავრებათ. მთელი ჩვენი ეხლანდელი მართველობის უხერხულება იმაშია, რომ ის არ უწევს ანგარიშს ამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის განსაკუთრებულ განწყობილებას.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შორის ძირითადი რამ განსხვავება იყოს, მაგრამ ახალი დროის ძალამ, უცხოელთა გავლენამ სულ სხვანაირად იმოქმედა ამერეთ-იმერეთს და აფხაზეთის მცხოვრებზე: რუსის გავლენამ და ახალი წესით აღზრდამ, თუმცა თანამედროვე ევროპიული პირობების თანახმად განავითარა, უფრო მეტად, იმერელი ახალგაზდობა, მაგრამ ნამდვილი ტრადიციული ქართული თვისება-ხასიათი, ელფერი დაუკარგა მათ; მართალია, დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს იმერელ ახალ-გაზდობას, რომ შედარებით ქართლ-კახეთის ახალ-თაობასთან, უფრო შეინახა, დაიცვა დედა-ენა, ქართული ლაპარაკი, მაგრამ ეს არ კმარა ეროვნული თვისება-განვითარებული ხასიათის შერჩენისათვის; თუმცა ქართლ-კახელთა ნასწავლ ახალგაზდობის უმრავლესობას გადავიწყებული აქვს ქართული ენა, მაგრამ ქართველური თვისება, ზნე-ჩვეულება მათ უფრო დაცული აქვთ, სანამ იმერელ ახალთაობას.

თუ აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდობამ ქართული ლაპარაკი იცის, ის ნამდვილ ლიტერატურულ ქართველათ ლაპარაკობს და არა ისე დამახინჯებულად და უწესოთ, როგორც ეს გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოში; თვით ქართველურ საქმეშიაც, თუ გამოდგა და ივარგა ქართლ-კახელი უფრო საიმედო, თავის მოვალეობის დიდის სისწორით შემსრულებელი და საერთო ინტერესის შედგრად დამცველი; თუ ისწავლა რამე დარგი მეცნიერების, ღრმად იგვისებს ცოდნას და ცხოვრებაშიდაც დიდათ გამოცდილი ხდება. ამ ჩემი დაკვირვების გამოცხადება მით უფრო საყურადღებოა, რომ მე თვითონ იმერეთიდან ვარ და ვერავინ მიდგომას ქართლ-კახეთისადმი და სიძულვილს თავისიანებისადმი ვერ შემწამებს; თუ აქ საჭიროდ ვსთვლი ამ საგანზე შეჩერდე, მხოლოდ იმიტომ რომ ამ მოვალეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების საქმეში სანამ ჩვენ ყველა ჩვენი კუთხების წარმომადგენლებს ჯეროვანი ყურადღებით არ მოვეპყრობით, მათ აზრს და თანამშრომლობას საერთო ცხოვრებაში სასურველ მონაწილეობას არ მივსცემთ, ჩვენ მუდამ სახიფათო და საშიშრო მდგომარეობაში ვიქნებით. მთელი ქართველობის ბედ-იღბლის გადაწყვეტის საქმისათვის თვით განგებას მოუხერხებია ისე, რომ საერთო სამშობლოს შემადგენელ ნაწილების წარმომადგენელთა ხასიათი, ტემპერამენტი და გონებითი მსჯელობის ნიჭი სხვა და სხვანაირი ყოფილიყო. რაც აკლია იმერელს, ის უხვად მითვისებული აქ ქართლ-კახელს: იმერელი უფრო ფიცხი, ჩქარი ექსპანსიური, მოძრავი, გრძნობის აშყოლი, გატაცებულია; ქართლ-კახელი დინჯი, აუჩქარებელი, დაფიქრებული, გონებით გრძნობის მპყრობელი, გაბედული პირდაპირი. ეს სხვანაირი თვისება სასურველია ერთ არსებაში იყოს, მაგრამ რაკი ეს სამუდამოდ საერთო ასპარეზზედ მომქმედ ძმებისათვის ცალცალკე დაუნაწილებია ბუნებას, დიდათ საჭიროა ორივე ეს, სისხლით და ყოველნაირი გარემოებით განუყოფლად დაკავშირებული ერთი ოჯახის წევრნი შეთანხმებულად, ერთი მეორისდახმარებით და რჩევა-დარიგებით მოქმედობდენ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ჩვენ განაპირა ქვეყნებში—აჭარა — აფხაზეთში, რომ ათ და ოც იმერელ-გურულ-მეგრელ მოღვაწეებთან ერთად ორი-სამი ქართლ-კახელი თანამშრომელი მრჩეველ-დამრიგებლად ყოფილიყო ბევრ ხიფათს და უსიამოვნებას ავსცდებოდით; შესაძლებელი იყო ჩვენი საქმე ამ მხარეებში სულ სხვანაირად, ჩვენთვის სასურველად მოწყობილიყო.

**15 შეურაცხყოფილ აფხაზების ჩივილი**

როცა ვალიკო ჯუღელის და მისი შტაბის ბრძანება მოთხოვნილებით აფხაზებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი, შეიკრიბნენ მოქვში ყველანი ერთად, როგორც აზნაური, ისე გლეხი და შეთანხმებულად გადასწყვიტეს ბათომში თათრების წარმომადგენლებთან დელეგაციის გაგზავნა დახმარების და მფარველობის სათხოვნელად; ვინახული გავლენიანი პირები და გულდაწყვეტილმა უსაყვედურეს: „რას შვრებით, როგორ არ გრცხვენიათ, ძმობას ათასი წლობით დამკვიდრებულ კავშირს, მთელს მომავალს თქვენსას და ჩვენსაც ასე აჩქარებით მოუფიქრებლად სპობთ, ღუპავთ. ამაზედ აღელვებით და მწარე გრძნობით მიპასუხეს: „რა ვქნათ, ბევრი ვითმინეთ, ვიცადეთ; გვეგონა: ქართველობა ყურადღების ღირსად ჩაგვთვლიდა, ჩვენ გრძნობას, ჩვენ ადამიანურ ღირსებას პატივს სცემდა; იმდენად უმნიშვნელოდ ჩაგვთვალეს, რომ ერთი დარბაისელი, ნამდვილი ქართველი კაცის გამოგზავნაც ვერ გამოიმეტეს ჩვენთან“-ო. ჩვენ თვითონ ამ უკანასკნელი რევოლიუციის დროს რამოდენიმეჯერ გიყავით ტფილისში: გვინდოდა გაგვეგო, ვინ არის ქვეყნის გამგე-პატრონი, ვინ გამოხატავს მთელი საქართველოს აზრ-შეხედულებას. რამოდენიმე თვეობით ვიცადეთ იქ, არავინ ყურადღება არ მოგვაქცია, ვერავითარი გარკვეული აზრი ვეღარ გამოვიტანეთ ვერც ერთი მოღვაწისაგან; იძულებული შევიქენით მთიელებთან მივსულიყავით და მათი განწყობილება გაგვეგო; დიდის თავაზიანობით მიგვიღეს, „კაცად ჩაგვთვალეს“ პატივი გვცეს და ამით აიხსნება ჩვენი მათთან კავშირის შეკვრის განზრახვა; შემდეგ, როცა ქართველებს არ ესიამოვნათ ეს საქმე ჩვენც ვერ შევსძელით თქვენთან რამოდენიმე საუკუნით დამკვიდრებული კავშირის გაწყვეტა და ისევ მთიელებთან დავარღვიეთ ხელშეკრულობა.

ჩვენი ბედის გადაწყვეტა თქვენ ჩაგაბარეთ: ყველა მართველები და ჩვენი ქვეყნის გამგე-პატრონები თქვენი ძმები იყვნენ, დღესაც არიან, მაგრამ პატრონობის მაგიერ, აუწერელ განსაცდელში ჩაგვაგდეს: აგვაოხრეს დაგვაქციეს მთელი არევ-დარევა ჩვენ ცხოვრებაში იმიტომ მოხდა, რომ ერთი გამოცდილი, მცოდნე, გონება-განვითარებული კაცი არ იყო ქვეყნის სათავეში; ამას ჩვენ ყველა ვხედავდით, მაგრამ ვითმენდით; ეხლა, როცა თვით ქვეყნის მართველებიც და თქვენი მთავრობის წარმომადგენელნიც რო განდევნეს მათივე სისუსტის გამო ბოლშევიკებმა, ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ძალით მოვრევოდით და გაგვედევნა ეგ ბოგანო ბრბო; მაგრამ ჩვენ უცდიდით საქართველოს მთავრობის განკარგულებას: ჩვენ გვინდოდა საერთო მთავრობის სახელით და ბრძანებით გვემოქმედნა; ეხლა კი გამოირკვა, რომ ჩვენ საქართველოს მთავრობა ანგარიშს არ გვიწევს, არაფრად არ გვთვლის, შეურაცხყოფას გვაყენებს: ჩვენთან ერთი კაციც ვერ გამოუგზავნია ისეთი, რომელსაც ჩვენთან დამშვიდებით, დარბაისლურად მუსაიფი შეეძლოს: ჩვენი მოისმინოს, თუ რამეში ვსცდებით დაგვაჯეროს, გვასწავლოს.

აღარ შეგვიძლია მეტი მოთმენა: ვიცით, რომ ვიღუპებით, მაგრამ არის ისეთი წუთები ერის ცხოვრებაში, როცა ის თავის განწირვას არჩევს, შეურაცხყოფის მოთმენას! რა უნდა მეთქვა: ვეხვეწე თბილისში გაეგზავნათ დეპუტაცია, აეხსნათ მათი მდგომარეობა, მაგრამ მეც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამ შემთხვევაშიაც აფხაზები ისევე უკმაყოფილონი არ დაბრუნდებოდნენ, როგორც რამოდენიმეჯერ უწინ. მე კი ვრცელი მოხსენება დავწერე და ჩვენ მთავრობას შევატყობინე საქმის გარემოება, ვაუწყე მოსალოდნელი ხიფათი აფხაზეთში, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია ჩემ ოფიციალურ წერილობით განცხადებისათვის, რომელშიდაც პირდაპირ აღნიშნული იყო, რომ მოსალოდნელი იყო დესსანტის გადმოსხმა წყალ-გიპში თავათ იმ ადგილს, სადაც მართლა მოადგა თათრის რაზმი ერთი თვის შემდეგ.

**16. ჩვენი პოლიტიკის შედეგები აფხაზეთში.**

აფხაზეთში ჩვენი პოლიტიკის შედეგები ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ უკვე იცის: ბოლშევიკების განდევნის შემდეგ, ჩვენი მთავრობის წარმომადგენელთა რჩევა დარიგების თანახმად მოწყობილ იქმნა, ეგრეთ წოდებული, აფხაზელთა სახალხო საბჭო; თვით შემადგენლობა ამ დაწესებულებისა ისეთი იყო, რომ წესიერი, ნორმალური მუშაობა მას არ შეეძლო: ყოველი დაწესებულება, რომელსაც თავის მიზანი და სამოქმედო გეგმა გამორკვეული არ აქვს, „ავანტიურის“ გზას უნდა დაადგეს; ასეც მოხდა: ამ უწესოდ, ყოველივე საარჩევნო სისტემის დარღვევით, შედგენილმა საბჭომ კანონმდებლობით უფლება მიითვისა; იმის მაგიერ რომ დროზედ გაედევნათ ეს უდღეური საბჭო, ჩვენმა მთავრობამ იურიდიული აქტით საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკისათვის დიდათ სამძიმო პირობებით ხელშეკრულობა დაუდვა ამ თვით აბხაზებისაგან აწუნებულ და უარყოფილ, საბჭოს, ამ ერთად ერთი,

ფოთის ადმინისტრაციას, ჩვენი პარტიის წევრის მიმართ.

I.

თბილისი. სასწრაფოდ. იუსტიციის მინისტრს.

ასლი დამფუძნებელ კრების წევრს სპირდონ კედიას.

ფოთის მილიციის უფროსის ბატონ ნოდიას პირადი განკარგულებით დაატუსაღეს და გუშინ ერთის თვის ვადით საპყრობილეში ჩასვეს ფოთის ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის ბიუროს შდივანი, ტუბერკულოზით ავადმყოფი ალექსანდრე ჰყონია, რომელსაც აბრალებენ ფოთის სახლის პატრონთა კრებაზედ, სადაც ირჩეოდა სახლებზედ გადიდებული გადასახადების გაწერის საკითხი, მონაწილეობის მიღებას და ქალაქის თვითმართველობის საწინააღმდეგო სიტყვების წარმოთქმას· ფოთის ეროვნულ-დემ. პარტიის კომიტეტი გთხოვთ თქვენ, ბატონო მინისტრო, გასცეთ საჭირო განკარგულება, რათა საქმის გამოძიებამდე განთავისუფლებულ იქმნას ალექსანდრე ჰყონია და საქმე გადაეცეს სასამართლოს.

ფოთის ერ.-დემ. პარტიის კომიტეტის თავმჯდომარე **ლეონტი ხოდელავა.**

II.

მთავრობის თავმჯდომარეს.

ასლი შინაგან საქმეთა მინისტრს.

გაზ. „საქართველოს".

**თ ვ ი თ ნ ე ბ ო ბ ა.**

(დეპეშა).

ჩვენს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ფოთის სახლის პატრონთა ყრილობაზე ეროვნულ-დემოკრატების ბიუროში წარმოთქმულ სიტყვებისათვის უსაფუძვლოდ დაატუსაღეს მდივანი ალექსანდრე ჰყონია. მიმაჩნია რა ეს უკანონოდ და პიროვნების კრების და სიტყვის თავისუფლებათა შელახვად არ შემიძლია არ მოგმართოთ ბატონო მინისტრო თხოვნით რათა გვიპატრონოთ ამისთანა უდიერ მოპყრობისათვის ძალდამტანებისაგან ამასთანავე გთხოვთ ხსენებული ა. ჰყონია გაანთავისუფლოთ და დამნაშავენი მისცეთ პასუხის გებაში. რაც შეეხება კრებაზე წარმოთქმულ სიტყვების სიბოროტეს ანუ კანონის წინააღმდეგობას მე მგონი უფრო კანონიერი გზა იქნებოდა ეს საქმე სასამართლოს გაერჩია როგორც კანონიც მოითხოვს და შემდეგში მაინც უზრუნველ გვყოთ მათგან ვისაც ჩვენი აზრი არ მოეწონება ფოთის ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტის თავმჯდომარე **ხაზახტარიშვილი.**

ზემოთ მოყვანილი დეპეშები, სავსებით ნათელ ყოფენ, იმ მეთოდს, რომელითაც გვებრძვის მართველი პარტია თავისი ადმინისტრაციის საშუალებით.

---

ჩვენი სოციალისტური მთავრობისაგან შედგენილი საერთაშორისო აქტით, საქართველოსაგან დამოუკიდებელ აბხაზეთს ეძლევა, არა თუ ავტონომიის უფლება, არამედ საქართველოს ხარჯითაც საკუთარი ჯარის შენახვა. ასეთი უფლება თვით უნგრეთსაც არ ჰქონდა, რომელიც მხოლოდ პერსონალური უნიით იყო შეკავშირებული ავსტრიასთან. ასეთ დიდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ხელშეკრულობას ადგენენ, ეროვნული საბჭოს, ანუ პარლამენტის დაუკითხავად, კერძო თათბირზედ და ამ ისტორიისათვის მნიშვნელოვან საბუთზედ ხელს აწერენ: ერთის მხრით ნოე ხომერიკი და მეორეს მხრით სოხუმის რეალური სასწავლებლის მოწაფე—აჯამოვი.

არავის არ მოსვლია აზრათ დაესვა კითხვა: აქვს თუ არა ამ წარმომადგენლებს, არამედ თვით აბხაზთა სახალხო საბჭოს ნება ასეთი ხელშეკრულობის შედგენის?! „უგვანი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია"; რა თქმა უნდა ასეთმა „ოპერეტულმა" სახელმწიფოებრივმა მოქმედებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო: ერთის მხრით აბხაზთა საბჭო, აღჭურვილი ამნაირი უფლებით, თავისთავს „სუვერენულად" სთვლის, მეორეს მხრით. საქართველოს მთავრობა, რომელიც აჯარებელ ფულს და ფიზიკურ ძალას ხარჯავს აფხაზეთში წესების აღსადგენად, ვერას გზით ვერ ასრულებს და ვერ ეთანხმება აბხაზეთის საბჭოს აგრესიულ მოთხოვნილებას. ამ გარემოებამ გამოიწვია ორ-ჯერ შეიარაღებული ძალით ჩარევა აბხაზთა საბჭოს საქმეში, შემდეგ თვით საბჭოს გარეკა მეამბოხეთა დატუსაღება და აბხაზეთში სასტიკი ზომების მიღება.

ჩვენი მთავრობა იმის მაგიერ, რომ საქმის გარემოებას, ადგილობრივად გაგზავნილ მცოდნე კაცების მეოხებით, გასცნობოდა, უმრავლესობის სურვილი მოთხოვნილება შეესწავლა და შემდეგ პარლამენტისათვის მოხსენებია ყოველივე ის ზომები, რომლის მიღებასაც აპირებდა, ნაჩქარევად, შემთხვევით თბილისში ჩასულ, საქართველოს რესპუბლიკისაგან დამოკიდებული დაწესებულების რწმუნებით აღჭურვილ პირებთან ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ხელშეკრულებას სდებს და ამ დიადი მოვლენის შესახებ საქართველოს საკანონმდებლო პარლამენტმა დღემდის არაფერი არ იცის. შეიძლება ითქვას, რომ „არ სცდება ის, ვინც არაფერს არ აკეთებს"; ეს აზრი მართალია, მაგრამ, როცა ერთ და იმავე საქმეში ერთნაირი წესით მოქმედებდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე სცდები, გონიერება მოითხოვს დაფიქრდე და დაუკვირდე, სწორ გზაზედ სდგეხარ, თუ არა: თუ აღმოჩნდა, რომ ის გზა მიზანთან ვერ მიგიყვანს, ნუთუ მხოლოდ ჟინიანობისათვის უნდა განაგრძო იმავე მიმართულებით მსვლელობა?!

ასეთი ჯიუტობა შეიძლება უმნიშვნელო საქმეში, რომელიც სხვების — მრავალთა ინტერესს არ ეხება, მაგრამ, როცა ხალხის ბედის და ცხოვრების საკითხი არის გადასაწყვეტი, აქ დიდი დაკვირვებაა საჭირო: „ათჯერ გაზომვა და ერთხელ გადაჭრა". ჩვენი მთავრობა კი იმნაირსავე წესს აწარმოებს მართვა-გამგებლობის საქმეში, როგორსაც „ნეტარ ხსენებული" რუსეთის ბიუროკრატია ადგა: როცა რომელიმე კუთხის მართველობის შესახებ საჩივარს აცხადებდენ, ადგილობრივ გამგეთა მოქმედებას უვარგისად, მავნებლად სთვლიდნენ სახელმწიფოს მოხელეს „პრესტიჟის" გასამაგრებლად, იმავე მართველს უცვლელად სტოვებდნენ და საზოგადოებრივ აზრს ყურადღებას არ აქცევდენ. რა მოიგო რუსეთმა ასეთი წესით? ამის შესახებ თვით მკითხველმა იფიქროს.

**ნიკო თავდგირიძე.**

---

მართალია ეს აპარატი დღეს მის ხელშია, მაგრამ ყოველივე თვითნებობას ხომ თავისი ფარგალი უნდა ჰქონდეს.

---

## ინგლისი და საფრანგეთი რუსეთისა და კავკასიის შესახებ

### ჩერჩილის განცხადება

რეიტერის სააგენტო, 6 ივლისის თარიღით იტყობინება, რომ ინგლისის თემთა პალატაში, დეპუტატმა მაკლემ, გახსნა კამათი ზავის საკითხისა და მოკავშირეთა სამხედრო პოლიტიკის შესახებ რუსეთში.

მაკლემ განაცხადა, რომ ბრიტანეთისათვის დიდი შეცდომაა განაგრძოს რუსეთის საქმეებში ჩარევის, ჯერ კიდევ სრულებით გაურკვეველი პოლიტიკა.

**მოკავშირენი და რუსეთი**

თავის პასუხში, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა სცდილობს თავის საქმეები რუსეთში ზავ-ხულის გათავებამდე დაასრულოს; ამ დროისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთი იმდენ ძალას მოიკრეფს, რომ ჩვენს დახმარებაში საჭიროება აღარ იქნებაო.

ამით ჩვენი ვალდებულებანიც შესრულებული იქნება ჩვენ მოკავშირის მიმართ.

**ბრიტანეთი და კავკასია.**

კავკასიაში, ჩვენი ჯარები რამოდენიმე ვერსტის მანძილით არიან დაშორებული მტრისაგან; ჩვენი ჯარები დარჩებიან იქ იმ დრომდე ვიდრე კავკასიის სახელმწიფოთა მდგომარეობა გამორკვეული არ იქნება.

**ბრიტანეთი და ციმბირი.**

ციმბირში ჩვენ მხოლოდ 2 ბატალიონი გვყავს, რომელნიც იმყოფებიან ომსკში, ციმბირის მთავრობის რეზიდენციაში; ამ ჯარის იქ ყოლით, ჩვენ უცხადებთ სრულს სიმპატიას ომსკის მთავრობას, რომელიც რამოდენიმე ჩვენ მიერ იყო შექმნილი. ამ მთავრობას ჩვენ ფინანსიურათაც დავეხმარეთ.

**კოლჩაკის შესახებ.**

კოლჩაკის წინსვლაზედ გაზვიადებული იმედები არ უნდა ვიქონიოთ. მის ჯარმა სამხრეთის ფრონტზედ უკვე უკან დაიხია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ კოლჩაკის განკარგულებაში მცირე რიცხოვანი ჯარია, ხოლო მისი ფრონტი კი თვალუწვდენ სიგრძე სიგანით იზდება თუ ასეთს მდგომარეობაში, არც წინსვლას, არც უკან დახევას დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთო.

**კოლჩაკი და მოსკოვის საკითხი**

ჩერჩილმა საჭიროთ დაინახა, აგრეთვე უარ ეყო ხმები, თითქოს კოლჩაკი მალე მიაღწევდეს მოსკოვს. კოლჩაკი არამც თუ მალე იქნეს მოსკოვში, ჯერ ჯერობით რამოდენიმე ასეულ ვერსის მანძილით არის დაშორებული ხოლო მოსკოვის გარემო, ბოლშევიკების საუკეთესო ძალებით არის გამაგრებული.

**ინგლისის მიერ რუსეთში გაწეული მსხვერპლი**

დროებითი ზავის ჩამოგდების დღიდან ბრიტანეთის ჯარების მიერ გაწირული მსხვერპლი შემდეგ ციფრს უდრის: მოკლულია, 13 ოფიცერი და 14 ჯარის კაცი; დაჭრილია: 14 ოფიცერი და 152 ჯარის კაცი; უკვალოდ დაიკარგენ 2 ოფიც. დ 26 ჯარის კაცი ამ ციფრებიდან სჩანს, რომ ჩვენი ჯარების მოქმედებას რუსეთში პოლიტიკური ხასიათი უფრო აქვს. რუსეთის დახმარებისათვის გაწეული ჩვენი ხარჯები, დაკავშირებულია საომო ხარჯებთან, სამხედრო განწყობილობის ფასი, რომელიც ჩვენ დენიკინს გაუგზავნეთ 20 მილლიონ გირვანქა სტერლინგს არ აღემატება და დადებულს ხელშეკრულებაც, რომლის ძალით ჩვენი ხარჯები ანაზღაურებულ უნდა იქმნეს რუსეთის მომავალ მთავრობის მიერ.

### პიშონის განცხადება

25 ივნისის თარიღით, პარიზიდან შემდეგს იტყობინებიან: დეპუტატთა პალატაში მინისტრს პიშონმა ვრცელი მოხსენება წარადგინა საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ, რუსეთის მიმართ:

**საფრანგეთის ჯარის რაოდენობა რუსეთში.**

მინისტრმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას სრულებითაც არა აქვს განზრახვა რუსეთისათვის ჯარების ექსპედიციის მოწყობისა, ამის დასამტკიცებლად, მან სთქვა, რომ ციმბირის 40 ათასიან ლაშქარში იმყოფება მხოლოდ 500 ფრანგი ინსტრუქტორი. მართალია დნესტრზედ მოქმედებდა ჩვენი 3 დივიზია, მაგრამ ამათგან ერთი უკვე უკან გამოვიწვიეთ და დანარჩენი ორიც წამოვლენ, როდესაც რუმინები ისე მოღონიერდებიან, რომ თავი დაიცვან.

**საფრანგეთის ინტერესები რუსეთში.**

მინისტრმა განაცხადა, რომ საფრანგეთს ძალიან ბევრი ინტერესები აქვს რუსეთში რომ სრულებით თავი დაანებოს მას. რუსეთი ჩვენი მოკავშირე იყო და დარჩება კიდეცა—ამისთვის საჭიროა მოვსპოთ ბოლშევიზმი, რომელსაც გადამდებ სენის ხასიათი აქვსო. არ შეიძლება, რომ ევროპაში მტკიცე ზავი დამყარდეს, ვიდრე რუსეთში სამოქალაქო ზავი არ ჩამოვარდება.

**რუსეთის მომავალი.**

ჩვენ გვინდა, რომ რუსეთი იყოს ძლიერი და ერთი წილადა არა მრავლად დანაწილებული. ჩვენ მომხრენი ვართ რუსეთის დემოკრატიული ფედერაციისა, თავისუფლების და სამართლიანობისა პრინციპებზედ დამყარებულ ერთ ეროვნების მეთაურობითო.

**ჩვენი პოლიტიკით, ჩვენ ვემსახურებით ჩვენი სამშობლოს ინტერესებს.**

რუსეთში ეხლა ყველა ძალების გაერთიანება სწარმოებს კოლჩაკის გარშემო.

ვინ არის კოლჩაკი? პოლიტიკოსია, ცარისტი, თუ დიქტატორია? არა! იგი ჯარის კაცი და პატრიოტია, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: გაანთავისუფლოს სამშობლო ბოლშევიკებისაგან. ჩვენს წინაშე არჩევანი იყო ბოლშევიზმისა და ძლიერ სახელმწიფოს აღდგენის შორის, ჩვენ უკანასკნელი ვარჩიეთ. თქვენ იცით, რას ამბობენ გერმანიაში? იქ, ერცბერგერმა განაცხადა, რომ 15 წლის შემდეგ რუსეთი გერმანიის იქნება და მაშინ საფრანგეთიც გერმანიას ჩაბარდება ხელშიო—აი რა სურს გერმანიას. ჩვენი პოლიტიკით ჩვენ ვემსახურებით მხოლოდ ჩვენი სამშობლოს ინტერესებს.

**ფორმულა გარდასვლისა.**

მინისტრ. სიტყვის დროს, უკიდურეს მემარცხენეთა სკამებზედ, დაუსრულებელი ხმაურობა და ყვირილი იყო. მინისტრის განცხადების შემდეგ წარმოდგენილ იქმნა რამდენიმე ფორმულა რომელთა შორის მიღებულ იქმნა შემდეგი ფორმულა, წარმოდგენილი დეპუტატების მონუნის და აშელის მიერ:

„პალატა იწონებს მთავრობის დეკლარაციას და ანდობს მას იზრუნოს, რათა ყველა წრეებში განმტკიცებულ იქმნას პატივისცემა არმიასა დ ფლოტის დისციპლინისადმი და წინადადებას აძლევს მთავრობას, მოკავშირეებთან ერთად განაგრძოს რუსეთში, საფრანგეთის ინტერესებთან მიზან-შეწონილი პოლიტიკა, სამხედრო ძალთა დაუხმარებლად".

ეს ფორმულა მიღებულ იქმნა 349 ხმით, 137 წინააღმდეგ.

სოციალისტების წინადადება უარყოფილ იქმნა 365 ხმით, 140-ის წინააღმდეგ.

---

## ჩვენი აფიცრობა რუსეთში

გაზეთი „ჩვენი ქვეყანას" როსტოველი კორესპონდენტი შემდეგს იუწყება ქართველი ოფიცრების შესახებ რუსეთში.

ბათუმიდან ყოველი მოქალაქესთვის გზა გახსნილია რუსეთში გასასვლელად, ეს გზა ქართველმა ოფიცრობამ გატკეცა. (მე მხოლოდ დეზერტირ ოფიცრებზე ვლაპარაკობ). მათ არავინ წინ არ უხვდებოდა და წინააღმდეგობას არ უწევდა და ამ რიგად საგრძნობი კადრი ოფიცრებისა ისეთ კრიტიკულ მომენტში გასცილდა სამშობლოს, ზოგი აშკარა სამტროთ, ზოგი პირადი საკეთილდღეოთ.

აპრილში 16 კაცი ქართველი ოფიცრები ერთი მატარებლით მოვიდენ როსტოვში. ჩვენ შეკითხვაზე თუ რა მიზანი აქვს მათ ჩამოსვლას სთქვეს: საბჭოთა რუსეთში მივდივართ ბოლშევიკების დასახმარებლათ და დენიკინთან საბრძოლველათო. სამი დღის შემდეგ გამოირკვა, რომ საქართველოს „მამაცი შვილები" დენიკინის ჯარში ჩაწერილიყვენ.

როგორია ამ მოღალატეების პოლიტიკა?

მათ გათვალისწინებული აქვთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის წესის აგება მალე მოხდება დენიკინის მიერ და ეს ვაჟბატონები რომლების სახელი ოქროს ასოებით იქნება დენიკინის დავთრებში ჩაწერილი შეიქნებიან ბატონ-პატრონი საქართველოსი. აი მათი პოლიტიკა და შორს მხვედველობა. და ამის შემდეგ ნუ თუ არ უნდა მოხდეს რეგისტრაცია საქართველოდან გასული ოფიცრებისა? მათი სასჯელის პრეცენდენტი ჯერ არ ყოფილა და ვერც მისწვდება იურისპრუდენცია მას.

არის მეორე ჯგუფი უმეტესათ ქართველი ოფიცრებისა თუმცა არა ოფიცრებიც ბევრია, რომლებიც იწოდებენ, სხვა და სხვა ბრწყინვალე თავადების გვარებს, ეცნობიან გამოჩენილ და მდიდარ „დამებს" და ეს პროცესი ბოლოს ცარცვა გლეჯით თავდება. ხშირათ გაიგონებთ, რომ ქართველმა ოფიცერმა თავადმა № ამა და ამ ქალისაგან გაიტაცა რამოდენიმე ათასათ ღირებული „ბრილიანტები".

არის მესამე ჯგუფი ნაძირალებისა, რომლებიც სპეკულიაციას ეწევიან.

ყველა ეს უნდა გაითვალწინოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის მეთაურებმა სინიდისის ქვეშ აღიარონ თუ რას ჩადიან როცა სამხედრო პირებს საქართველოს რესპუბლიკის გარეთ უშვებენ.

---

## აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელშეკრულობა

აზერბაიჯანის და სომხეთის ხელშეკრულება დაახლოვებით შემდეგ პუნქტებისაგან შესდგება: 1) თავისუფალი და უბაჟო ტრანზიტის უფლება ერთიერთმანეთ-შორის. 2) აზერბაიჯანი უფლებას აძლევს სომხეთის რკინის გზის საჭიროებისათვის გაზიდულ იქმნას ნავთი არა უმეტეს 8 მილიონი ფუთისა. 3) აზერბაიჯანი ნებას აძლევს სომხეთს გაზიდოს ნავთი სომხეთის მოსახლეობის საჭიროებისათვის. 4) მე-2 ე პუნქტში მოხსენებული ნავთი საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება. 5) მეორე პუნქტში მოხსენებული საქონელი ერთნაირ პარტიებად უნდა იყოს განაწილებული. 6) სომხეთი ნებას აძლევს აზერბაიჯანში გაზიდვისას ყოველგვარ საქონლისა შემოზიდულ საქონლის საფასურში, გარდა პურისა, შაქრისა და ტყავისა. 7) გაზიდულ ნავთის ფასი ბაქოში წესდება. 8) სომხეთი მოვალეა ყურადღება მიაქციოს რომ აზერბაიჯანიდან შეტანილი საქონელი, სომხეთის ფარგლებს არ გასცილდეს. 9) სატრანზიტო ტარიფები შეიძლება შეიცვალოს ურთიერთ-შორის შეთანხმების შემდეგ. 10) გადასაზიდი ქირა ნაწილდება ორივე სახელმწიფოს-შორის იმ ლიანდაგის სიგრძის პროპორციულად, რომელიც საქონელმა უნდა გაიაროს. 11) თუ გარეშე ძალა შეაფერხებს ამ ხელშეკრულებას, მაშინ ორივე მხარე თავისუფლდება ხელშეკრულებისაგან. 12) ნავთი გადაიზიდება სომხეთის ცისტერნებით, თუ აზერბაიჯანის ვაგონებით გადაიზიდება, მაშინ სომხეთი მოვალეა იმ წესით დაუბრუნოს ვაგონები, როგორსაც აზერბაიჯანი შეიმუშავებს. 13) თუ მეორე პუნქტზე კომისია ვერ შეთანხმდება, მაშინ იგი გადაეცემა საარბიტრაჟო კომისიას გასარჩევად. 14) ორივე მხარეს უფლება ეძლევა იქონიოს მეორე სახელმწიფოში საწყობი. 15) ორივე სახელმწიფო პასუხს აგებს ყოველივე ზარალში, რომელიც მის ტერიტორიაზე მოხდება, გარდა ნორმალური ზარალისა. 16) ტრანზიტით ნავთის გადმომტან კერძო პირთ, ნავთი არ ერთმევა. 17) სომხეთს ეძლევა უფლება იყოლიოს წარმომადგენელი ბაქოში და იზამში, რათა ყურადღება მიაქციოს მე-8-ე პუნქტის ასრულებას. 18) ხელშეკრულების ვადა ერთი წელიწადია.

---

## ბ-ნ კ. დათეშიძის წერილის გამო

ჩვენს გაზეთში, მოთავსებული იყო ბ ნ კ. დათეშიძის წერილი მიწადმოქმედების მინისტრის მიმართ, იმ შეუწყნარებელი მოქმედების გამო, რომელიც ჩაუდენია ხსენებულ სამინისტროს მოხელეს გედევანიშვილს, თანამდებობის ასრულების დროს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ხანი გავიდა ბ-ნ დათეშიძის მიერ მინისტრისადმი შეკითხვის მოთავსების შემდეგ, მინისტრს არავითარი პასუხი არ გაუცია.

ჩვენ ვბეჭდავთ დღეს გაზეთ „გრუზიაში" მოთავსებულ ბ-ნ დათეშიძის მეორე წერილს, რომელიც მეტ სინათლეს ჰფენს იმ ინციდენტს, რომელიც დღეს დიდ ინტერეს იწვევს ქართულ საზოგადოების ფართო წრეებში.

„სასოფლო მეურნეობისა და სახელმწიფო მამულების განყოფილებას.

ბ. დათეშიძის თხოვნის თანახმად, რომელიც მან მიწადმოქმედების მინისტრს მიართვა, სამინისტროს კანცელარია გთხოვთ რომ თქვენმა განყოფილებამ მისცეს განკარგულება ვარდისის ეროვნულ ქონების გამგეს, რომ ზემოხსენებულ დათეშიძეს, მინისტრის ბრძანების თანახმად (19 მაისის, № 2999) მიეცეს მისი კუთვნილი ანანოვისაგან შეძენილი ღვინო და შამპანური. თუ დღეს დღეობით მზად არის მთელი ღვინო, მაშინ ეხლავე მიეცეს მას უკვე არსებულ თადარიგიდან. კანცელარიას ვთხოვთ შედეგი ბ-ნ მინისტრს აცნობოთ".

მინისტრის სახელზე დაწერილ წერილით პირველად ყოვლისა მე მივედი გაზ. „ბორბას" რედაქციაში.

ინტერესს არ არის მოკლებული ჩემი დიალოგი ბ-ნ ვიტინსკისთან, ფრაქციის ოფიციოზის ფაქტიურ რედაქტორთან.

გაეცნო რა ჩემს წერილს ბ-ნი ვიტინსკი მიეცა ფსიხოლოგიურ განცდას და რქვა:

„საქმე ის არის რომ შეურაცყოფა თქვენთვის კი არ მოუყენებიათ, არამედ კანცელარიის დირექტორისათვის, რადგან მან მოგცათ ეს საბუთი. მერე ეს ხომ მის კაბინეტში მოხდა. თქვენ რა შუაში ხართ?"

— „კი მაგრამ რომ ჩემი საბუთი დაჰხიეს".

— „მაინც თქვენ უფლება არა გაქვთ ჩივილისა მხოლოდ დირექტორს შეუძლია იჩივლოს" „სოლომონი" სებურად შენიშნა ვიტინსკიმ, თუმც აქვე გამოუყვანა წირვა ბ ნ გედევანიშვილს როცა მას „უზრდელი" და „გაუთლელი" უწოდა.

საგულისხმიეროა ვიცოდეთ ბ-ნო ვიტინსკი, თქვენ რომ ვინმე X მა სილა გაგარტყათ, ვსთქვათ, რომელიმე ექიმის ბინაზე, ვინ უნდა იყოს ამით შეურაცხყოფილი, თქვენ თუ ექიმი?..

. . . შემდეგ განადგურებულ საბუთის შინაარსით დაინტერესებულმა განაცხადა.

„აქ არის ნახსენები ანანოვის გვარი, რადგან საქმე მეტად სადაოა ამისათვის არ დავბეჭდავთ".

— „კი მაგრამ ფოსტით რომ გამოვგზავნოთ"—„მაშინ კალათაში" კინაღამ არ წამოსცდა „საქართველოს სახელმწიფოს" მაშენებელს ვიტინსკის.

— „მე კი მეგონა, რომ ვპოვებდი ერთგვარ დაკმაყოფილებას და სამართალს „ბორბა"-ში წერილის დაბეჭვდით". „მაშ, ვერა ჰპოვეთ?". იძიეთ სხვაგან".

მიპასუხა მშობლიურ ქალაქში, მშობლიურ საქართველოს პოლიტიკურმა კომვოიაჟორმა ვიტინსკიმ.

ბოლოს „ნოვი დენ„-ზედაც გაჯავრდა, გედევანიშვილის ინციდენტის გამოქვეყნებისათვის?

ნეტარ არიან გედევანიშვილისთანები!.. განაგრძეთ იმავე გზით, თქვენ გყავთ დამცველი ვიტინსკი.

„ნოვი დენის" თანამშრომელნო კი ფრთხილად ვიტინსკი... ჯავრობს!..

**კ. დათეშიძე.**

---

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 14-ს

**კიევი** ივლისის 14 (მიღებულია მიკოლაევის რადიო სადგურისაგან)

**უკრაინის საბჭოთა ჯარის შტაბის ცნობა** ივლისის 11 ლუცკის ამოსავლეთით, 44 ვერსზე მტრის შემოტევა მოვიგერიეთ მოწინააღმდეგეები დიდათ დავამარცხეთ და გავაქციეთ ვოლოჩისკისკენ პეტლიურას ბრბოების ლიკვიდაცია გრძელდება. ჟმერინკას სამხრეთ-დასავლეთით 30 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სადგ. კამაროვცი დაიჭირა. აქ ხელთ ვიგდეთ 7 ზარბაზანი, რამდენიმე ტყვის მფრქვეველი დიდძალი თოფი, ყუმბარებით სავსე 15 ვაგონი და 1 ჯავშნიანი მატარებელი. ვალუიკა-ჟმერინკას ხაზზე მტრის 2 ჯავშნიანი მატარებელი აფეთქდა. კამენეც პოდოლის მიმართულებით რაზნოს აღების დროს ტყვეები წამოვიყვანეთ და 5 ტყვის მფრქვეველი ვიგდეთ ხელთ. წინსვლას განვაგრძობთ. კიშინევის მიმართულებით დიდი სროლაა. შავი ზღვის პირის დიდი სროლაა და მტრის მზვერავთა მოქმედებაა. ეკატერინოსლავის დასავლეთით, 50 ვერსზე ხელთ ვიგდეთ 3 ორთქმავალი და ვაგონები.

**რაკოვსკის განცხადება.**

**კიევი.** ივლისის 12. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ დენიკინის შემოტევა შეჩერებულია და საბჭოთა ჯარი ენერგიულ შეტევაზე გადადის! კიევისა, ოდესისა, ნიკოლაევსა, ხერსონსა და პოლტავაში საალყო წესები გამოცხადდა: 18—45 ბურჟუაზიას ზურგის სამუშაოებზე იწვევენ.

ივლისის 11 კიევში შესდგა საპროტესტო მიტინგები, რომელზედაც ილაპარაკეს სახალხო კომისარებმა და სახალხო მოღვაწეებმა. ყველა ფიცსა სდებენ, რომ საბჭოთა მთავრობას დაიცავენ და მუშათა და გლეხთა ჯალათებს მოსპობენ.

**მოხალისენი ხარკოვში.**

**სუმი.** ივლისის 12. ხარკოვში მოვიდა ასტროვი, რომელსაც დენიკინისგან კოალიციონურ მთავრობის შედგენა აქვს დავალებული ასტროვმა სურვილი გამოსთქვა, რომ კაბინეტში შევიდნენ „სახელმწიფოებრივ პლატფორმაზე მდგარი სოციალისტები". დენიკინის ჯარის სარდლობის ბრძანებით ხარკოვის ქალაქის საბჭო დაიშალა. ახალი არჩევნები ახალი საარჩევნო კანონით მოხდება. ხარკოვში ყაზახების მიერ გამოცხადებულ თეთრი ტერორის საპასუხოდ ქ. სუმის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გამოაქვეყნა თავისი დადგენილება მძევლად დატოვებულ ხარკოვის ბურჟუაზიის 9 წარმომადგენლის დახვრეტის შესახებ ხარკოვის ბურჟუაზია დიდძალ ფულს სწირავს დენიკინს და ყოველგვარად ეხმარება მას. განსაკუთრებით მონობას იჩენს სამღვდელოება. მღვდლები ყოველდღე სწირავენ და შესთხოვენ ღმერთს, გამარჯვება მიანიჭოს დენიკინს, პროცესიებს აწყობენ და თეთრ პოლკებს ხატებს სწირავენ.

**ბოგოდუხოვის აღება**

**ვორონეჟი,** ივლის. 11. წითელმა ჯარმა ქ. ბოგოდუხოვი დაიჭირა. ხელში ჩაიგდო მრავალი ზარბაზანი და ტყვის მფრქვეველები.

## ინგლისური პრესა.

**ავსტრიას ახალ მოთხოვნილებებს უდგენენ.**

მოკავშირეებმა ავსტრიას ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი კიდევ უნდა გადასცენ იტალიის და სამხრეთ სლავიის საზღვრების და ზარალის ანაზღაურების შესახებ.

**მეორე კატეგორიის სახელმწიფოები.**

მეორე კატეგორიის სახელმწიფოთა შორის, რომლებთანაც მოკავშირეებმა საზავო ხელშეკრულებას უნდა მოაწერონ ხელი იხსენებენ ოსმალეთს ბულგარეთს ჰუნგრეთს და რუსეთს. განსაკუთრებით ძნელდება ოსმალეთის საკითხი, რადგან საქმე შეეხება არაბეთს სირიას, სტამბულის ბედს, სომხეთს და გავლენის სფეროების დამყარებას. ბულგარეთსა და ჰუნგრეთს ნაკლები დრო დასჭირდება ვიდრე რუსეთს. სადაც ძალიან ძნელია ახალი საზღვრების გაყვანა და ამნაირად ახალი სახელმწიფოების შექმნა.

**შვეიცარიის წიგნი ბელგიის ნეიტრალიტეტის შესახებ.**

გამოვიდა პოლკ. შვერტფერის წიგნი შემდეგის სათაურით: „ინტელექტუალური ბრძოლა ბელგიის ნეიტრალიტეტისთვის", რომელშიაც ავტორი გერმანიის აზრს იცავს მაგრამ ამავე დროს მიუდგომლად იხილავს ბელგიის ნეიტრალიტეტის საკითხს: ის იხსენიებს, რომ 1807 წელს ინგლისი სწორედ ისე ცდილობდა დანიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამართლებას, როგორც 1914 წ. გერმანია-ბულგარიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ. 1807 წ. დანიას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია უცხო ძალისვის. 1866 წ. ინგლისი გულგრილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპობდა ბელგიის ნეიტრალიტეტს. 1870 წ. გარანტიების საჭიროება აღიარა.

**„ფორვერტსის“ ახალი რედაქტორი.**

ფრიდრიხ სტამფერმა „ფორვერტსის“ მთავარ რედაქტორობას თავი დაანება. ის უკანასკნელ ხანამდე შეუძლებლად სცნობდა საზავო ხელშეკრულების მიღებას. მის ადგილზე პავლე ბოდეროში დაინიშნება.

**გერმანიამ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.**

ოთხშაბათს საღამოს ებერტმა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცი დაასრულა.

**გერმანია და საფრანგეთის განადგურებულ ადგილების დამუშავების საკითხი**

გერმანიამ განაცხადა, რომ იმ წინადადებას, რომ გერმანიის სამხედრო ტყვეები იმ პირობით დააბრუნონ, რომ გერმანიის მუშებს მისცენ სამუშაო განადგურებულ ადგილების აღსადგენად. თანაგრძნობით ხალხი არ შეხვდა. გერმანია მზად არის დაეხმაროს საფრანგეთს ჩრდილოეთ-ოლქების აღდგენის საქმეში და ამ მიზნისთვის გამოცდილი გერმანელ მუშები მისცეს, მაგრამ ამაზე არ უნდა იქნეს დამოკიდებული გერმანიის სამხედრო ტყვეების დაბრუნება, რომელიც ხელშეკრულების 214 მუხლის თანახმად მოკლე დროში უნდა მოხდეს.

**ოსმალეთის დელეგატებმა საზაო კონფერენცია მიატოვეს**

სტამბოლიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ პარიზიდან მოსულმა უკანასკნელმა ცნობებმა ოსმალთა ნოტის მიღების და კონფერენციის დატოვების შესახებ, ოსმალთა წრეები დააღონა.

**ჟოფრის მონაწილეობა „გამარჯვების დღესასწაულში“**

პარიზიდან იუწყებიან, რომ იქ კვლავინდებურათ დიდის ინტერესით მოელიან დღესასწაულზე ჟოფრის გამოსვლას. ამბობენ, რომ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს პროცესიაში, პარადში და შემდეგ ტრიბუნაზე პუანკარეს გვერდით უნდა დაიჭიროს ადგილი. ჟოფრის მეგობრები იმ აზრის არიან, რომ მთავრობის წინანდელი წინადადება, რომ პარადის დროს ის ამერიკულ ჯარს გასძღოლოდა წინ, არ შეეფერება მის მდგომარეობას, როგორც ფელდმარშალისას. ასე„ წინადადებას მთავრობა უარყოფს. ოფიციალური გაზეთი დღეს იუწყება: როდესაც ჟოფრი ელისეს სასახლეში იყო, ფოში დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ჟოფრი მის გვერდით ყოფილიყო პარადზე ამის გამო ჟოფრმა შენიშნა: „მე მთავარ სარდალი არა ვარ, და ამიტომ არ შემიძლია ეს ადგილი დავიკავო“-ო. „მაგრამ მარნა უნდა იყოს განსახიერებული და მისი გმირი ჩემს გვერდით იყოს“-ო, უპასუხა ფოშმა, ჟოფრი მაინც არ დათანხმდა. ფოშმა და კლემანსომ გუშინ ჟოფრს წერილობითი წინადადება მისცეს, რომ პროცესიაში მონაწილეობა მიიღოს,—ჟოფრი ბოლოს დასთანხმდა. იგი პროცესიას ბოლომდე არ გაყვება და ტრიბუნაზე ავა. „მატენი“ ამბობს: მათ უფლება არა აქვთ, რომ ჟოფრს საზეიმო კამარის ქვეშ გავლის პატივი მოაკლონ. მათ ჯერ კიდევ არ ესმით, რომ მათ უფლება არა აქვთ ხალხს ჟოფრის დანახვის საშუალება წაართვან. ხალხს სურს ჟოფრი მთელი პროცესიის განმავლობაში იხილოს.

**გერმანია პროტესტს აცხადებს მოკავშირეთა მოქმედების გამო**

გერმანიის მთავრობამ არა ერთხელ განაცხადა პროტესტი მოკავშირეთა არა ლეგალურ მოქმედების გამო, მოკავშირეებმა მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაში გასცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. ამას წინად დიუსელდორფში პროტესტი გამოიწვია დატუსაღებულისადმი მკაცრმა მოპყრობამ.

**საფრანგეთის განზრახვები მოშა ვალზე.**

პარიზიდან ჰოლანდიაში მიღებულ დეპეშების ცნობით საფრანგეთს სურს იმის გარანტიები მიიღოს, რომ მის სამფლობელოზე მოულოდნელი თავდასხმა არ მოხდეს, ეს გარანტიები ხალხთა ლიგამ უნდა დაადასტუროს. ევროპის ნეიტრალური ქვეყნები ფიქრობენ, რომ საფრანგეთი სცდილობს ამერიკის დახმარებით ხმელეთზე ჰეგემონია მოიპოვოს.

**ჰოლანდია და კაიზერის გასამართლების საკითხი.**

ჰოლანდიიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, ჰოლანდიის მთავრობას მიაჩნია, რომ არ არის კანონიერი საბუთი, რომ ყოფილი კაიზერი გასცეს და ვერ დასთანხმდება. რომ კაიზერი გასცეს პოლიტიკური მოსაზრებით ისე, რომ არ დაირღვეს ჰოლანდიის კანონი ლტოლვილთა შეფარების შესახებ. „ნიეი როტტერდამ კურატო“ სწერს: „მოკავშირენი გასამართლების მიუდგომლობის გარანტიას არ იძლევიან; მათ კაიზერი უკვე გამოაცხადეს დამნაშავედ, მეორე მხარის დაუკითხავად, ამას გარდა, მოკავშირენი კაიზერს უეჭველად მიუსჯიან სასჯელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალას დაკარგავდა მოკავშირეთა მიერ წამოყენებული დებულება გერმანიის დანაშაულების შესახებ და მაშასადამე დაირღვევა საზავო ხელშეკრულების საფუძველნი და გასამართლება მხოლოდ გასართობ წარმოდგენად გადაიქცევა ლონდონელებისთვის. კორესპონდენტები იუწყებიან, რომ მოკავშირეებს დღემდე არ გამოუგზავნიათ მოთხოვნილება კაიზერის გაცემის შესახებ, რასაც ადასტურებს ბევრი სხვა გაზეთის ცნობაც.

**ბოლშევიკები დენიკინის ჯარის შესახებ**

**მოსკოვი**, ივლისის 12. (ც. ა. ქ. ბ. ბ. ბიულეტენი. (დასაწყისი მიღებული არ არის). ხარკოვის ორთქლმავალის ქარხნის 800 მუშა დენიკინმა ჯარში გაიწვია. ისინი ტყვიისმფრქვევლებით გარშემორტყმულნი გაგზავნეს ფრონტზე. აქედან 500 კაცი საბჭოთა ჯარის მხარეზე გადავიდა, დანარჩენნი ყაზახების ტყვიისმფრქვეველებმა გაანადგურა. მემამულეებმა თავისი ძალა იგრძნეს, ისინი ძველ საცხოვრებელს უბრუნდებიან. გლეხთა რაზმები, რითაც შეხვდებათ, იარაღდებიან გამოდიან მათ წინააღმდეგ და ყაზახთა მზვერავ რაზმებს ანადგურებენ. გლეხები აცხადებენ, რომ ძველ მემამულეებს ერთ გირვანქა ხორბალსაც არ მისცემენ.

**პოლონელთა საჯაშუშო ორგანიზაცია**

**ვინიცა**, ივლისის 10. საგანგებო კომისიამ აღმოაჩინა პოლონელთა საჯაშუშო ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად გაფიცვებს აწყობდა.

**გაფიცვები გერმანიაში**

**მოსკოვი.** ბერლინში ტრანსპორტის მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება და არავითარი იმედი არ არის, რომ მოკლე ხანში დასრულდება. ხუთშაბათს ქალაქის რკ. გზის ზოგიერთი მატარებელი წავიდა. მოსამსახურეებსა და დამქირავებლებს შორის შრომის სამინისტროს წარმომადგენლების თანდასწრებით მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ. ჰანოვერში არეულობა გრძელდება. ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. მუშათა გაზეთების გამოცემა აკრძალულია. მიუხედავათ იმისა, რომ ზავი ხელმოწერილია, მოკავშირენი გერმანელ სამხედრო ტყვეებს სამშობლოში მაინც არ უშვებენ და სურთ ბელგიაში სამუშაოდ გაგზავნონ, ომის განმავლობაში განადგურებული ადგილების აღსადგენად.

**ბოლშევიკების სამხედრო ცნობა.** (დასაწყისი არ არის მიღებული). ვოლოჩისკის მიმართულებით ჩვენმა მამაცმა ჯარმა, სამხედრო კომისარ პოდვოისკის მონაწილეობით, მოწინააღმდეგე დაამარცხა. ჩვენი ჯარი პროსკუროვის მხარეზე უტევს, ჩვენ სად. დერეჟნია დავიჭირეთ. ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი სად. კომაროვცის უახლოვდება. დღის ბრძოლის დროს ხელში ჩავიგდეთ 3 ჯავშნიანი მატარებელი, ორთქლმავალი, მრავალი საარტილერიო და სხვა მასალა. ჩვენი ნაწილები, რომლებიც ოდესასთან მოქმედებდნენ, წინ მიიწევენ. ოდესა-კიევის გზა გახსნილია. კონსტანტინოგრადის მიმართულებით მოწინააღმდეგე სოფ. დოლიეკიდან განვდევნეთ. ხელთ ვიგდეთ ზარბაზანი და 5 ტყვიისმფრქვეველი.

# დამფუძნებელი კრება

**11 მკათათვის სხდომა.**

## ალ. ასათიანის წინადადება

**სახალხო მეურნეობის კომისიის დაარსების შესახებ**

ა. ასათიანი (ერ. დემ.) მე წინადადება შემომაქვს დამფუძნებელს კრებაში, რათა დაარსდეს მუდმივი სახალხო მეურნეობის კომისია. ასეთი კომისიის საჭიროება შემდეგი მოსაზრებიდან გამომდინარეობს: დამფუძნებელს კრებაში ჩვენ გვაქვს რამოდენიმე კომისია, საფინანსო საბიუჯეტო, შრომის, აგრარული, გზათა და სხ., რომელნიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების ამა თუ იმ დარგს ემსახურებიან. მათი კონსტრუქცია ისეთია, რომ თითეული მათგანი მმართველობის ამა თუ იმ ნაწილის ფარგლებში მუშაობს. მაშასადამე ჩვენ გვაქვს კომისიები, რომელნიც აწარმოებენ საკანონმდებლო მუშაობას შესახებ ბიუჯეტისა, თვითმართველობებისა, გზებისა, შრომის და სხ. ხოლო არ გვაქვს ისეთი კომისია, რომელიც საერთო ეკონომიურს საკითხებს გაიკვლევენ ეკონომიურ პოლიტიკის მთავარ კითხვებს გადასჭრის. ისეთი დიდი მნიშვნელობის საკითხები, როგორიც არის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სისტემა, სავაჭრო ხელშეკრულობები სხვა და სხვა ქვეყნებთან, სასურსათო საქმე, ფულის საკითხი და სხ., ან და სახელმწიფო ქონების ექსპლოატაციის საკითხები, კონცესიების გაცემა და ამის წესის შემუშავება და მრავალი სხვა ასეთი მთავარი კითხვები ვერ გადიჭრება ჩვენს ამა თუ იმ კომისიაში, ვინაიდან მათი მუშაობის სფერო უფრო ვიწროდ არის შემოფარგლული.

დღეს-დღეობით ყველა ასეთი საკითხები საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გადადის. ამ კომისიას კი გარკვეული დანიშნულება აქვს. ის საბიუჯეტო საკითხებს უნდა იკვლევდეს და ეს სამუშაო ისე დიდია, რომ ერთი კომისია მას თუ დასძლევს, რასაკვირველია მეტს მუშაობას ვერ შესძლებს.

ამას გარდა ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღმშენებლობის პროცესშია და ამის გამო ამა თუ იმ უწყების სფერო ყოველთვის მტკიცედ განსაზღვრული და შემოფარგლული როდია. უწყებათა შორის ხშირად უთანხმოება და დავაც კი სწარმოებს იმის შესახებ თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს მმართველობის ესა თუ ის ნაწილი. ასეთი დავა იყო შესახებ ნავთსადგურებისა ტყიბულის მაღაროებისა, წყლის ენერგიისა, შომრიგებელ კომიტეტისა და სხ. ასეთი კითხვების გადასაჭრელადაც საჭიროა ისეთი ორგანოს არსებობა, რომელიც ამა თუ იმ უწყების თვალსაზრისით და ინტერესებით მარტო კი არ იქნება გამსჭვალული, არამედ იხელმძღვანელებს სახელმწიფოს მთლიანობის ინტერესებით. ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება რომ მტკიცედ იყოს ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული, ასეთი კომისიის საჭიროება ისე დიდი არ იქნება თუმცა თითქმის ყველა ქვეყნის საკანონმდებლო დაწესებულებებში არსებობს განსაკუთრებული თუ ეკონომიური სახელწოდებით გარდა იმ კომისიებისა, რომელნიც საბიუჯეტო კითხვებს იხილავენ.

**დ. თოფურიძე** (სოც. დ.). წინააღმდეგია ასათიანის წინადადებისა და ამტკიცებს, რომ ახალი კომისიის დაარსება სრულებით საჭირო არ არის. ორატორის აზრით ამ მუშაობას კარგად შესძლებს საბიუჯეტო კომისია, რომელსაც შეუძლიან ასეთი კითხვები თავის მცირე კომისიებში შეისწავლოს. ამასთან საბიუჯეტო კომისიას, როცა ის ბიუჯეტს განიხილავს, ნაკლები სამუშაო ექნება ი.

**ა. ასათიანი** უპასუხებს თოფურიძეს და ამტკიცებს, რომ საბიუჯეტო კომისიებში ვერ დამუშავდება სათანადოთ ასეთი რთული საკითხები, ვინაიდან ამ კომისიას თავისი სამუშაო აქვს და ფრიად დიდი სამუშაო. საბიუჯეტო კომისიაში ერთხელ აღიძრა ასეთი საერთო პოლიტიკის საკითხი საქონლის საზღვარ-გარედ გაზიდვის მოწყობის შესახებ და ყველას ახსოვს, როგორც დაუმუშავებლად და შეუსწავლად გამოვიდა ეს საკითხი კომისიიდან. ორატორი გამოსთქვამს განცვიფრებას, რომ დ. თოფურიძე ასეთი წინადადების წინააღმდეგი გამოდის. როდესაც ეს აზრი გაუზიარე ბ. თოფურიძეს ორიოდე თვის წინეთ, მან განმიცხადა, რომ ასეთი წინადადება მე უკვე შემუშავებულ მაქვს და ამას მალე გავიყვანო. ამას შემდგომ აღარ დამიჩქარებია წინადადების დამფუძნებელს კრებაში შემოტანა. ვფიქრობდი, რომ თვით ბ. თოფურიძეს ჰქონდა განზრახული ასეთი წინადადებით შემოსვლა.

ასათიანის წინადადებას კენჭს უყრიან და დიდი უმრავლესობით უარყოფენ.

# უცხოეთის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ინგლისელების წასვლა.**

თბილისში მყოფ მოკავშირეთა ცნობით, ლონდონიდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ „კავკასიის მართვა“ ბრიტანეთის ჯარების ხელიდან ჩქარა იტალიის ხელში გადავა, რის მანდატიც იტალიამ კიდეც მიიღო.

**საფეიქროების გაფიცვა ინგლისში.**

საფეიქრო ქარხნების მუშათა გაფიცვა, როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, იზრდება. გაფიცვები მოედო აშტონს სტალებრიჯს და ლოვონფილდს. ქალების და ბავშვების დიდი ბრბოები დადიოდა ქუჩებში და ფანჯრებს ამტვრევდა.

**უკანასკნელი წყალ-ქვეშა ნავი.**

გერმანიას დარჩა მხოლოდ ერთი წყალქვეშა ნავი № 136, რომელიც უკანასკნელი ჯგუფის გადაცემის დროს გზაზე გაფუჭდა და იძულებული იყო დაბრუნებულიყო.

**რეიმსის ტაძრის განახლება.**

საფრანგეთში შესდგა კომიტეტი რეიმსის ტაძრის განახლებისათვის. კომიტეტში შევიდა ნორვეგიის დედოფალი შვეციის პრინცესა.

**დეკრეტი საბჭოთა ახალი ფულის შესახებ.**

მოსკოვის „პრავდა“-ში მაისის 18-ის თარიღით დაბეჭდილია ლენინის ხელმოწერილი ასეთი შინაარსის ახალი დეკრეტი საბჭოთა ფულის შესახებ:

„რადგანაც რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ძველი ფული სრულიად არ შეეფერება რუსეთის ახალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, ამისათვის ეს ძველი სისტემის ფული უნდა შევცვალოთ ახალ საბჭოთა ფულით. სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა, გამოუშვას ახალი სახის საკრედიტო ბილეთები: 1, 3, 5, 10, 25, 50, 100, 250, 500 და 1000 მანეთიან ღირებულებისა. ყველა დღეს მომქმედი ფული ისევ ძალაში რჩება, იმავე ფასად, როგორც ახლად გამოცემული საბჭოთა ფული. ნიკოლოზის ფულის გაუქმების ვადა ცალკე გამოცხადდება.

ხელს აწერს ლენინი და ბონჩ-ბრუევიჩი.

**იოფეს ხიკვდილი.**

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან, იოფეს მკვლელობა შემდეგ გარემოებაში მომხდარა. საბჭოთა ელჩი, ბოლო ხანებში ბერლინში მყოფი, მოუკლავთ ვილნოში პოლონელებს ებრაელთა დარბევის დროს. რბევა სამს დღეს გაგრძელებულა და ებრაელები ასობით დაუხოციათ.

**გეტმან სკოროპადსკი.**

ნაუენიდან იტყობინებიან, რომ გეტმანი სკოროპადსკი ჰელსინგფორსში ჩავიდაო

**პოლონეთის დამოუკიდებლობის ცნობა.**

მადრიდან შვეიცარიის გაზეთები იტყობინებიან რომ ესპანეთმა პოლონეთის დამოუკიდებლობა აღიარა და მასთან მიმოსვლა მოაწყო.

**ინგლისის ჯარის დემობილიზაცია.**

ინგლისის დათხოვნილ ოფიცერთა რიცხვი მაისის 28-სათვის უდრიდა 106.482 ოფიცერს და 2.753.421 ჯარისკაცს.

**საბჭოთა წარმომადგენელი ამერიკაში**

რუს. დეპეშ სააგენტო იტყობინება, რომ საბჭოთა წარმომადგენლობაში, რომელიც საგარეო საქმეთა კომისარიატმა დანიშნე შედის თავმჯდომარე მარტენსის გარდა, განთქმული სოციალისტი მარქს ხილქვიტი და პროფესორი ი. ლომანოსოვი. მარტენსმა თავისი რწმუნებულების ქაღალდი ჩააბარა ვაშინგტონში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

**გაერთიანებული გამომცემლობა.**

ბოლშევიკების ცენტ. კომიტ. დადგენილებით პრესის გაერთიანებულ სახელმწიფო აპარატის შესაქმნელად ყველა გამომცემლობა სახელმწიფო, კერძო, კოოპერატიული გაერთიანდებიან ერთ სახელმწიფო გამომცემლობად, რომელსაც კონტროლს გაუწევს სახელმწიფო, და რომელსაც ნივთიერად სახელმწიფო უზრუნველჰყოფს.

# სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზ-ბა „საქართველო“

4 ივლისს დამტკიცდა წესდება სავაჭრო სამრეწველო სააქციო საზ-ბა „საქართველოსი“. ეს პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოში არსდება წმინდა კომერციული სააქციო საზ-ბა. დამაარსებელთ წინასწარი შეთანხმება აქვთ უცხოელებთან საჭირო საქონლის გზებით გამოწერისა შესახებ. საზოგადოების საქმეები ჯერ-ჯერობით ბრწყინვალედ მიმდინარეობს. ყველა რაიონებში ვაჭარ-მრეწველნი მხურვალე მონაწილეობას იღებენ მთავარ ხელმძღვანელს ყველა მხრიდან მოსდის ცნობები, რომ ადგილობრივ იმართება ვაჭართა კრებები საორგანიზაციო კომიტეტების ხელმძღვანელობით. დაჟინებით თხოულობენ ხელის მოწერას, რაც კიდეც დაიწყო დღეიდან. ეს თანაგრძნობა და ხალისი ვაჭარ-მრეწველთა წრეში აიხსნება იმ გარემოებით რომ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში ცხადი შეიქნა ვაჭრებისათვის ვაჭრულად შეკავშირების აუცილებლობა. ჩვენი ვაჭარი ცალკე, როგორც კერძო პირი საქონელს გზებით ვერ შეიძენს. მას შეუძლია მხოლოდ მეათე—მეხუთმეტე ხელიდან შეიძინოს საქონელი რასაკვირველია გაცილებით უფრო მაღალ ფასებში ვიდრე პირველ წყაროებიდან. ამისათვის ჩვენს ვაჭრობას ხელში ჩაიგდებს საბოლოოდ უცხო ელემენტები, თუ ვაჭრები დროზე არ შეჯგუფდნენ სააქციო საზოგადოებაში. ამას ეხლა ვაჭრები გრძნობენ. ამისათვის დამფუძნებლების სურვილია ერთ თვეში დაასრულონ აქციებზე ხელის მოწერა, რომ რაც შეიძლება მალე შეუდგეს პრაქტიკულ მოღვაწეობას. გადაწყვეტილია გამგეობაში მხოლოდ ვაჭარ-მრეწველნი მოიწვიონ, რომელთაც სალი წარსული აქვთ. ამ თავითვე ისმება სა კითხი განყოფილებების შესახებ. საჭირო ცნობები შეიკრიბება ყველა რაიონებიდან და დამზადებულ მასალების მიხედვით საკითხიც გადაწყდება აქციონერთა პირველსავე კრებაზე. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ვაჭარ-მრეწველნი განსაკუთრებულ ყურადღებით და სიფრთხილით წაუძღვებიან ამ ყოველს მხრივ დიად საქმეს და მას ბრწყინვალეთ დაასრულებენ.

**შ.**

# პარტიული ცხოვრება

## ფოთის ეროვნულ-დემოკრატთა კომიტეტს.

**ამავე კომიტეტის თავმჯდომარის სტეფანე გაგუასაგან.**

**განცხადება:**

გაზ. „ერთობის“ კორესპონდენტისაგან შეთხზულ და მოგონილ ცილის წამების გამო გაზეთებმა განგაში ასტეხეს: თითქოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისაგან გამოჩეკილიყოს ახალი პარტია რომელსაც მიზნად დაუსახავს მოთხოვნა სამეგრელოს პოლიტიკურ ავტონომიისა, ჩემი ხელმძღვანელობით.

საქმის ჯეროვანად გამორკვევა-გამოძიება იმედია სიმართლეს აღმოაჩენს;

ვინაიდან მე კომიტეტის თავმჯდომარეთ ვითვლები შეიძლება ბოროტი ენები შეეხონ წმინდათა წმიდას პარტიისას, ამიტომ გთხოვთ თავმჯდომარეობიდან განმათავისუფლოთ და თუ კომიტეტის შემადგენლობა საჭიროდ დაინახავს მთლად წევრობიდგან.

**სტეფანე გაგუა.**

4 ივლისი 1919 წ.

ბ-ნ სტეფანე გაგუას განცხადების შესახებ დღესვე, 4 ივლისს შედგა ფოთის ორგანიზაციის კომიტეტის კრება, რომელმაც მსჯელობა იქონია აღძრულ საგანზე და განცხადების თანახმათ ბ-ნი გაგუა მხოლოდ თავმჯდომარეობის თანამდებობიდან გაანთავისუფლა. მის ადგილზე არჩეულ იქმნა ლეონტი ალექსის ძე ზოდელავა. ამ ოქმზე ხელს აწერენ ლ. ზოდელავა ანდრი ლოლუა ერმ. ბოლქვაძე მ. ხორავა თითონ ს. გაგუა და როგორც მდივანი ალექსანდრე ჰყონია.

**თავმჯდომარე ლ. ზოდელავა.**

# კორესპონდენცია

## სამეგრელო

ხშირი და დაუდგომელი წვიმებისა გამო მიწის მოსავალს პირი ნაკლებად უჩანს, ჯერ იმ დროს, როდესაც თესვა არ იყო გათავებული დაიყო წვიმა და მთელი ორი კვირეა გადაუღებელი წვიმს. მთელი ყანები მოსულნი და თითქმის გადაჭარბებულნი სალოდავ სურათს წარმოადგენენ; ბალახი და სიმინდის ღერო სიმაღლით ერთი და იგივეა, თუ ზოგიერთი ალაგას გამარგლული სიმინდის ღერო მეორე სახელოა ისიც იმ ხელა ბალახშია. ერთი კვირაა საჭირო, რომ სიმინდის მოსავალი მთლად დაიღუპოს, რამოდენიმე ათასი ფუთი სიმინდი გაიზიდება და ერობის მიერ სხვა და სხვა ქალაქებში გაიგზავნება, მაგრამ არ ვიცი თუ ასეთი დარი იქნა, მომავალში ვინ გამოუგზავნის ჩვენს ერობებს, რომ დააკმაყოფილოს მშიერი კუთხე თავის ამგვარ განსაცდელში მყოფობაში, მომავლისთვინ, გრძნობს ხალხი და თუ ვინმეს შერჩენია სიმინდი არ ჰყიდის, ხედავს რა მომავალ წელში უნაყოფობის გამო შიმშილობის აჩრდილს.

**ზუგდიდელი აქ.**

# წერილი რედ. მიმართ

გაზეთ „საქართველოს № 119 მოთავსებული იყო ჩემი შთაბეჭდილებანი გორის მაზრის ექიმთა ყრილობისა, რომელსაც საშინლად გაუცხარებია გორის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე და მთხოვს ფიცხელ პასუხს ერთის კვირის ვადით (იხ. „ერთობა“ № 148). რა მოხდა ასეთი? ჩ ედილმა, როგორც კორესპონდენტმა თავის შთაბეჭდილებანი მოათავსა გაზეთის ფურცლებზედ, მეტი არაფერი და თუ ორიოდე შეცდომა უნებლიეთ შეეპარა, ეს ჩვეულებრივი მოვლენა საკორესპონდენციო წერაში. თუ ოქმი ამონაწერი ის ვერ მოვიყვანეთ, როგორც თვით დედანში წერებულა და მცირე შეცდომა შეგვეპარა, ამაში ბოდიშს ვიხდით. რაც შეეხება იმ გარემოებას, „რომ მე ერთის კვირის განმავლობაში მიუთითო თუ რა პირობები წაუყენა გამგეობამ მაზრის ექიმს კობერიძეს, რომლის შესრულებაც შეუძლებელი იყო და რომელიც საქმის გარემოებით არ იყო გამოწვეული“, აი ამის პასუხიც ინებეთ, თუმცა უკეთესი იყო თვით მაზრის ექიმისთვის (სხვა ერობებში ამ თანამდებობას საექიმო განყოფილების გამგეს უწოდებენ) მიემართნათ. სამკურნალო განყოფილებაში, გამგეობის წევრის იგნატაშვილთან ჰქონდა ლაპარაკი მაზრის ექიმს, რომელსაც უთხრა რომ ახალაძემ (გამგეობის თავმჯდომარე) წინადადება მომცა, რომ ვიარო სოფელ-სოფელ და მისი სანიტარული მდგომარეობა ავწერო, რაიც ჩემთვის როგორც სამკურნალო განყოფილების გამგესათვის სრულიად მიუღებელია.

აი ბ. ახალაძევ იმის პასუხი, რასაც თქვენ ასეთის გამალებით თხოულობდით. რაიც შეეხება დანარჩენს ნაწილს წერილობით იმედი მაქვს თვით ექიმები გაგცემენ ამაზედ პასუხს.

**პატივისცემით ჩ. ედილი.**

# ნარევი

**სომხების რიცხვი თელავსა და სიღნაღის მაზრებში**

გაზეთი „აშხატავორ“-ი ასე ღრიცხავს სომხეთა მოსახლეობას თელავის და სიღნაღის მაზრებში:

თელავის და სიღნაღის მაზრებში სომხეთა რიცხვი დაახლოვებით უდრის 34 ათას, რომელთაგან 19 ათასი ცხოვრობს თელავსა და სიღნაღში, დანარჩენი-კი სოფლებში

თელავში—9000 ს., სოფლებში—წინანდელი—150 ს., ურიათუბანში—1100 ს., გავაზი—50 ს. ყვარელი—200 ს., შილდა-ენისელი და სარუა—100 ს., ნაფარეული—25 ს., სანიორე 500 ს, რუისპირი—550 ს., ქისტაური—350 ს., მატანი—1200 ს., აქმინა—150 ს. და დანარჩენ სოფლებში—200 ს. სულ 13,575 სული.

სიღნაღში დაახლოვებით—10,000 ს., ველისციხე—4000 ს., კაკაბეთი—1000 ს., დედოფლის წყარო—2 ათასი ს., ლაგოდეხი—2000 ს., ანაგა—600 ს. და დანარჩენ სოფლებში—1000. სულ 20,600 სული.

ამ ჯამის თანახმად სიღნაღისა და თელავის მაზრებში ცხოვრობენ 34175 სომეხი.

სომხეთა ერთი მესამედი ნაწილი ქალაქებში ვაჭრობით ცხოვრობს, ორი მესამედი კი ხელოსნები არიან, სოფლებში მცხოვრებელი სოფლელები კი რიცხვით დაახლოვებით 15 ათასი მი, წადმოქმედებით ცხოვრობენ.

(„აშხატავორ“).

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, პლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიიდი და სხვა... კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფები მიიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „წიგნ“ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.